გაზეთი ბიჭვინთა, „ვერსიათ“ ერთი

ვერსია

№29 (1719) 11 — 17 სექტემბერი ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ცნობილი ადვოკატის ოჯახური სკანდალი

როგორ უღალატა ახალგაზრდა ცოლმა ქმარს გერთან

ბიძინა ივანიშვილი: „26 ოქტომბერს, არჩევანს ვაკეთებთ ომსა და მშვიდობას შორის!“

„თქვენი ძალა და ენერგია, თქვენი შემართება მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ 26 ოქტომბერს, საქართველო ისევ გაიმარჯვებს ბოროტებაზე, რაც ჩვენი ქვეყნის გრძელვადიანი მშვიდობისა და სტაბილურობის მყარი საფუძველი იქნება“

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

რა დარღვევები გამოვლინდა ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

თავდაცვის მინისტრობიდან ქოლცენტრებამდე

დავით კეზერაშვილის შავ-ბნელი საქმეების ანატომია

პროკურატურა მოუწოდებს საზოგადოებას, არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია „ქოლცენტრების“ შესაძლო ფუნქციონირების შესახებ

საქართველოს პროკურატურა მოუწოდებს საზოგადოებას, ნებისმიერი სახის ინფორმაცია მიაწოდონ უწყებას „ქოლცენტრების“ შესაძლო ფუნქციონირების შესახებ.

„საქართველოს პროკურატურა მოუწოდებს საზოგადოებას, არსებობის შემთხვევაში, დაუყონებლივ გვაცნობონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, ეგრეთწოდებული ქოლცენტრების შესაძლო ფუნქციონირების შესახებ“, – აცხადებენ პროკურატურაში.

შეგახსენებთ, საქართველოს პროკურატურამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართალდამცავებთან თანამშრომლობით, საგამოძიებო ჯგუფის ფარგლებში, რომელშიც ასევე ჩართულები არიან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, მორიგი ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნა.

მათივე განცხადებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით თაღლითობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე დაკავებულია და ბრალი წარედგინა ქოლცენტრების საქმიანობაში ჩართულ 4 პირს, ასევე დაუსწრებლად წარედგინათ ბრალი ორ ფიზიკურ პირს და ერთ იურიდიულ პირს.

„ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ უკრაინის მოქალაქის მიერ, საქართველოში დაფუძნებული კომპანიის – შპს „მორგან ლიმიტედის“ ბაზაზე, საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ, ჩამოყალიბდა და 2019-2021 წლებში ფუნქციონირებდა შეთანხმებულად მოქმედი სტრუქტურული ფორმის მქონე დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის მიზანს მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება და შემდგომში ფულის გათეთრება წარმოადგენდა.

შპს „მორგან ლიმიტედის“ სახელით, იჯარით აღებულ ფართში მოწყობილი ქოლცენტრის თანამშრომლები, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, უკავშირდებოდნენ ევროპული ქვეყნების მოქალაქეებს და მოტყუებით იყოლიებდნენ, წინასწარ შექმნილ ყალბ სავაჭრო პლატფორმებზე განეხორციელებინათ თითქოსდა მომგებიანი ინვესტიცია.

თაღლითური ქოლცენტრის თანამშრომლები დისტანციურად უკავშირდებოდნენ დაზარალებულებს ელექტრონულ მოწყობილობებზე, არეგისტრირებდნენ მათ სავაჭრო პლატფორმებზე, კრიპტო ბირჟებზე და დაზარალებულების თანხით შეძენილ ვირტუალურ აქტივებს რიცხავდნენ კრიმინალური ორგანიზაციის კონტროლირებად ელექტრონულ საფულეებზე. აღნიშნულის პარალელურად, ყალბ პლატფორმებზე სიმულაციური ქმედებებით დაზარალებულებს აჩვენებდნენ ინვესტირებული თანხების ზრდას, ხოლო დაბანდებული თანხისა და მოგების უკან დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში, წყვეტდნენ ყოველგვარ კომუნიკაციას.

აღნიშნული გზით, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები თაღლითურად დაეუფლნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, სლოვენიისა და სლოვაკეთის რესპუბლიკების მოქალაქეების კუთვნილ, დაახლოებით, 3 170 000 ევროს.

თაღლითურად დაუფლებული აქტივებისთვის კანონიერი სახის მისაცემად, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა მოახდინეს ხსენებული თანხების მათ მიერ კონტროლირებად საბანკო ანგარიშებზე განთავსება და ჩართვა ეკონომიკურ ბრუნვაში, მათ შორის, უძრავ-მოძრავი ქონებების შეძენის გზით. გამოძიების მიერ საბანკო სექტორიდან ამოღებული ინფორმაციის ანალიზით დგინდება, რომ შპს „მორგან ლიმიტედის“ სახელით მოქმედი თაღლითური ქოლცენტრის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა პირმა, რომელიც გატარებული ღონისძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებულია, ევროპელი მოსახლეობისგან თანხების თაღლითურად დაუფლების პერიოდში, ჯამში, მილიონ დოლარზე მეტი თანხა ჩარიცხა დავით კეზერაშვილის, კეზერაშვილის დის და კეზერაშვილის დის შვილის საბანკო ანგარიშებზე. ამ მიმართულებით აქტიურად გრძელდება გამოძიება, მათ შორის უცხოელი კოლეგების ჩართულობით და შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისთანავე, საზოგადოებას ეცნობება დამატებით.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ასევე დადგენილია, რომ ერთ-ერთი დაკავებულის ხელმძღვანელობით ქ. თბილისში დღეის მდგომარეობითაც მოქმედებდა მსხვილი თაღლითური ქოლცენტრი, რომელშიც მიმდინარე წლის 5 სექტემბერს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამოღებულია ასეულობით კომპიუტერი და მობილური ტელეფონი, შავი ჩანაწერები და დანაშაულთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია. იდენტიფიცირებული არიან თაღლითური ქოლცენტრის საქმიანობაში ჩართული სხვა პირებიც.

ბრალდებულთა კუთვნილი საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის შედეგად, ამოღებულია ჯამში 800 000 აშშ დოლარზე მეტი ფულადი თანხა, ძვირადღირებული ნივთები და სატრანსპორტო საშუალებები. სასამართლო განჩინების საფუძველზე, ყადაღა დაედო ბრალდებულების და მათთან დაკავშირებული პირების კუთვნილ რამდენიმე მილიონი ლარის ღირებულების აქტივებს – ბრალდებულების საბანკო ანგარიშებს და მათ საკუთრებაში არსებულ უძრავ და მოძრავ ქონებას, რითაც არ მიეცათ მათი შემდგომი განკარგვისა და გადამალვის შესაძლებლობა.

დანაშაულებრივი წარმომავლობის ქონებების სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, პროკურატურა შესაბამის სამართლებრივ პროცედურებს გაატარებს.

პროკურატურა ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს. წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, – აცხადებენ პროკურატურაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ანაკლიაში ახალგაზრდულ ბანაკში შეხვედრა გამართეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელი პირები ანაკლიაში ახალგაზრდულ ბანაკს ესტუმრნენ. შეხვედრის მიზანს მოზარდებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა.

სამინისტროს წარმომადგენლებმა 250-მდე ახალგაზრდას ინფორმაცია მიაწოდეს მართლწესრიგთან დაკავშირებით მათთვის საჭირო და აქტუალურ სხვადასხვა თემაზე, მათ შორის, ტრეფიკინგის, დისკრიმინაციის, ქალთა და ოჯახური ძალადობის, საგზაო და სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ასევე მოქალაქეების მხრიდან სამართალდამცავ უწყებასთან დროული თანამშრომლობის მნიშვნელობასა და დანაშაულის პრევენციაზე.

ახალგაზრდული ბანაკი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ფუნქციონირებს. დამსწრე პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ სამინისტროს წარმომადგენლებისგან მიეღოთ ამომწურავი პასუხები დასმულ შეკითხვებზე.

ბიძინა ივანიშვილი: „26 ოქტომბერს, არჩევანს ვაკეთებთ ომსა და მშვიდობას შორის!“

მმართველი პარტია რეგიონებში საარჩევნო კამპანიას განაგრძობს. „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა, ამჯერად, ახალციხის მოსახლეობას მიმართა.

„მოგესალმებით, ჩემო თანამემამულენო!

მივესალმები ახალციხეს, ბორჯომს, ადიგენს, ასპინძას, ახალქალაქსა და ნინოწმინდას!

მივესალმები სამცხე-ჯავახეთში, საქართველოს ამ გასაოცარ, განსაკუთრებული ისტორიის მქონე კუთხეში მცხოვრებ ჩვენს თანამოქალაქეებს. მივესალმები ქართველებს, ეთნიკურ სომხებს, სხვა ეთნოსის წარმომადგენლებს. ადამიანებს, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში ტოლერანტობის, პატრიოტიზმის, ურთიერთპატივისცემის, ერთად დგომის, შრომისა და თანაცხოვრების უნიკალური გამოცდილება შექმნეს და ყველას დაანახეს, რომ განსხვავების მიუხედავად, ამ ქვეყნის შვილები, ჭირსა თუ ლხინში, მუდამ ერთად ვდგავართ!

ამ კუთხის მნიშვნელობასა და სილამაზეზე დიდხანს შეიძლება საუბარი, მით უფრო, რომ მთელ მსოფლიოში იშვიათად თუ მოიძებნება ისეთი გარემო, როგორც აქაა, სადაც ერთმანეთთან საოცრად ჰარმონიულადაა შერწყმული ბუნება და ადამიანი.

ამ საოცარ მხარეში თითოეული კუთხე თავისი განსაკუთრებულობით გამოირჩევა, ყველა ერთად კი ჩვენი ქვეყნის, ჩვენი საქართველოს სიმდიდრეა, მაგრამ ყველაზე და ყველაფერზე ფასეული სწორედ თქვენ ხართ, ვინც ამ ქალაქებსა და სოფლებს სიცოცხლით ავსებთ.

საკუთარი ქვეყნის წინაშე თქვენი მაღალი პოლიტიკური პასუხისმგებლობა, წლების განმავლობაში, არაერთხელ დაგიმტკიცებიათ და ეს დაამტკიცეთ 2012 წელსაც, არა მარტო სამცხე-ჯავახეთისთვის, არამედ, მთელი საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდში, როდესაც გაბედეთ და ჩვენთან, „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, დაუპირისპირდით „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმს, რომელიც ჯერ კიდევ მყარად იდგა ფეხზე და ტოტალური ტერორით ებრძოდა საკუთარ ხალხს.

„ნაციონალური მოძრაობა“ ბედავდა და ტოლერანტობით განთქმულ ქვეყანაში ეთნიკური, თუ რელიგიური ნიშნით უპირისპირებდა მოსახლეობას ერთმანეთს; არაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ერთი მხრივ, აქ მცხოვრებ მოსახლეობას ქართული ენის სრულფასოვნად შესწავლის შესაძლებლობა ჰქონოდა, რათა სახელმწიფოსთან ურთიერთობა გაადვილებოდა, მეორე მხრივ კი მათი მშობლიური ენა დაეცვა.

ეს ყველაფერი ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა - სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მოსახლეობის დიდ ნაწილს საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის საშუალება არ ჰქონოდა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა არ მიეღო.

ამ ყველაფრის მიუხედავად, დიდი გამბედაობა გამოიჩინეთ და თქვენი ოჯახის წევრების სიცოცხლის, თუ უსაფრთხოების ფასად, გვენდეთ და „ქართულ ოცნებას“ დაუჭირეთ მხარი!

თქვენი გამბედაობის შედეგებს კი დღეს თავად იმკით - ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, ნაბიჯ-ნაბიჯ, როგორც სამცხე-ჯავახეთის, ისე მთელი ქვეყნის სატკივარს მივხედეთ და ჩვენს ხალხთან ერთად, „ქართულმა ოცნებამ“, დემოკრატიაზე, სამართლის უზენაესობასა და ადამიანის ღირსების პატივისცემაზე დამყარებული ქვეყნის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი.

ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, სამცხე-ჯავახეთმა ახალი სიცოცხლე შეიძინა;

მოწესრიგდა და განვითარდა ინფრასტრუქტურა, რამაც ამ კუთხის საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალის ზრდას შეუწყო ხელი;

სოფლის მეურნეობის სფერო ვითარდება და თავისუფლად ახერხებთ მანამდე დაკეტილ ბაზრებზე საკუთარი პროდუქციის რეალიზებას;

„თქვენი ძალა და ენერგია, თქვენი შემართება მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ 26 ოქტომბერს, საქართველო ისევ გაიმარჯვებს ბოროტებაზე, რაც ჩვენი ქვეყნის გრძელვადიანი მშვიდობისა და სტაბილურობის მყარი საფუძველი იქნება“

ამასთანავე, მთელი რიგი შეღავათებითა და თქვენს ინტერესებზე მორგებული სახელმწიფო პროგრამებით, ვცდილობთ, მაქსიმალურად შეგიწყოთ ხელი;

აბასთუმნისა და ბორჯომის უნიკალური ბუნება არათუ აღარ ნადგურდება, არამედ, განსაკუთრებულადაა დაცული, რაც, ერთი მხრივ - ეკოლოგიის დაცვის, მეორე მხრივ - რეგიონში ჩადებული მნიშვნელოვანი ინვესტიციების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია;

და რაც მთავარია - თქვენი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა დღეს სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანია;

პატიოსანი შრომა დაფასებულია და ოჯახებში გაზრდილია კეთილდღეობის ხარისხი;

თქვენს შვილებს განათლებაზე თავისუფლად მიუწვდებათ ხელი და ამ მრავალეთნიკური კუთხის თითოეული მცხოვრები, მიუხედავად მისი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა, თავისუფლად სარგებლობს ყველა იმ პრივილეგიით, რითაც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე.

უფრო კონკრეტულად, განახლებული რეგიონების ფარგლებში, რეგიონის ქალაქების რეაბილიტაციაზე 130 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა, სრულად გამოიცვალა ინფრასტრუქტურა, მოწესრიგდა და გალამაზდა ყველა ქალაქი.

2014 წლიდან დღემდე, რეგიონში, სადაც არ არსებობდა სასმელი წყალი, „ქართულმა ოცნებამ“ 350 მილიონი ლარის პროექტები განახორციელა.

ხელისუფლებამ 11 500 აბონენტს მისცა ბუნებრივ აირზე წვდომა, რეგიონის სრული გაზიფიცირება კი 2025 წელს დასრულდება.

2012-2024 წლებში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ჯამურად აშენდა 5 ჰიდროელექტროსადგური, ჯამური დადგმული სიმძლავრით - 99 მეგავატი, გარდა ამისა, მშენებლობის ან კვლევების ეტაპზეა 18 ჰიდროელექტროსადგურის პროექტი - ჯამური დადგმული სიმძლავრით 112 მეგავატი. რაც მთავარია, ყველა ეს პროექტი განხორციელდა და ხორციელდება ისე, რომ მინიმალური ზიანიც არ მიადგეს უნიკალურ ეკოსისტემას.

ჩვენი ხელისუფლებისგან განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობენ ადგილობრივი მეწარმეები და მცირე ბიზნესი. ჩვენი ხელშეწყობით, რეგიონში, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებიდან დაიხარჯა 300 000 მილიონი ლარი, რაც სრულად მოხმარდა მეწარმეთა მხარდაჭერას. შედეგად, შექმნილია დამატებითი 4 000 სამუშაო ადგილი და ეს პროცესი აუცილებლად გაგრძელდება.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტურიზმის განვითარებას. 2023 წელს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დაფიქსირდა ნახევარი მილიონი ვიზიტორი, რაც არის რეკორდული მაჩვენებელი და რაც არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ტურისტული ადგილების მოწესრიგებამ, ასევე, ახალი ტურისტული ობიექტების მშენებლობამ განაპირობა. დღეს, სამცხე-ჯავახეთი სრულად უწყობს ფეხს თანამედროვე ტურიზმის მოთხოვნებს.

ერთად დგომით, შევძელით და ავაშენეთ ქვეყანა, რომელშიც დაცულია ადამიანის ყველა უფლება, აზრისა და სიტყვის თავისუფლება, გვაქვს გაჯანსაღებული სასამართლო, მედია დამოუკიდებელია, ბიზნესი კი - ხელშეუხებელი, ქვეყანა, სადაც ხალხი თავისუფლად ცხოვრობს და აღარ აქვს პოლიტიკური დევნის შიში.

უფრო შორს აღარ წავალ, მაგრამ გეტყვით, რომ ამ წარმატებების მიუხედავად, „ქართული ოცნების“ გუნდი შეჩერებას, რა თქმა უნდა, არ აპირებს. მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარება და კეთილდღეობა ყველა თქვენგანმა, საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ საკუთარ თავზე იგრძნოს.

დასასრული მე-4 გვერდზე

ბიძინა ივანიშვილი: „26 ოქტომბერს, არჩევანს ვაკეთებთ ომსა და მშვიდობას შორის!“

მე-3 გვერდიდან

ბუნებრივია, ყველა ის სიკეთე, რასაც 2012 წლის შემდეგ ერთად მივაღწიეთ, კარგია და აღნიშვნას იმსახურებს, მაგრამ უმთავრესი გახლავთ ის, რომ დღეს, ჩვენ ვცხოვრობთ საქართველოში, სადაც ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში პირველად, გვაქვს 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობა, რაც განვითარების მთავარი საწინდარია, ეს კი, წლების განმავლობაში, თქვენ მიერ „ქართული ოცნებისათვის“ გამოცხადებული ნდობის შედეგია.

მშვიდობის მნიშვნელობაზე ბევრს არაფერს ვიტყვი; ამ ქვეყნის შვილებს არ გვესწავლება, რომ საუკუნეების განმავლობაში, სწორედ მშვიდობა იყო ჩვენთვის ასე სანატრელი რამ, რადგან კარგად ვიცოდით, რა არის ომი და რა უბედურება ახლავს მას თან.

მიუხედავად ამისა, საქართველოში ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, პოლიტიკური ძალები, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, ერთი სიტყვით - კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც ომში არა უბედურებას, არამედ - შესაძლებლობას ხედავს, შესაძლებლობას იმისა, რომ უცხოელი პატრონების მხარდაჭერით, თუნდაც ომის ანუ საკუთარი მოსახლეობის სისხლის ფასად ხელისუფლებაში დაბრუნდეს.

ამ ხალხის ნაწილმა ჯერ 2008 წელს დაღუპა ქვეყანა, როცა შეგნებულად მოახდინა ომის პროვოცირება, შემდეგ კი, ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს, რომ საქართველო უკრაინაში დაწყებული სამხედრო კონფლიქტის მონაწილედ, მეორე ფრონტად აქციოს. ეს მათი უცხოელი პატრონების პირდაპირი დაკვეთაა, რაც იდეალურად ერგება კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ რადიკალურ, ვიწროპარტიულ ინტერესს - ნებისმიერ ფასად დაბრუნდეს ხელისუფლებაში.

საფრთხე რომ არსებობს, ამას ყველანი კარგად ვხედავთ, რადგან ხელის გულზე დევს ის რთული გეოპოლიტიკური ვითარება, რის წინაშეც ვდგავართ.

მშვიდობას დღეს განსაკუთრებით სჭირდება დაცვა, ისევე, როგორც დამოუკიდებლობას, რათა ერთი მხრივ, საქართველოს ომში ძალით ჩართვა ვერავინ ვეღარასდროს შეძლოს, მეორე მხრივ კი შევინარჩუნოთ დამოუკიდებლობა და საქართველოს ჩვენი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება მართავდეს და არა უცხო ძალების მიერ კონტროლირებადი, კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“ - რეჟიმი, რომელსაც წლების განმავლობაში ჰქონდა სახელმწიფო მიტაცებული.

ფაქტობრივად, დღეს ჩართულნი ვართ არა წინასაარჩევნო კამპანიაში, არამედ ბრძოლაში მშვიდობის, ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის, ჩვენი ტრადიციებისა და ფასეულობების დასაცავად, ამ ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ასპარეზი კი 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებია.

26 ოქტომბერს, საქართველოს მოსახლეობას, სამწუხაროდ, არ უწევს არჩევანი კარგსა და უკეთესს შორის; უსამშობლო, რადიკალური ოპოზიციის დამსახურებით, 26 ოქტომბერს, არჩევანს ვაკეთებთ ომსა და მშვიდობას, ფსევდო-ლიბერალურ ღირებულებებსა და ეროვნულობაზე, ოჯახზე, რწმენასა და დამოუკიდებლობაზე დაფუძნებულ ფასეულობებს შორის, არჩევანს ვაკეთებთ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ ევროპულ მომავალსა და იმ მიუღებელ მოცემულობას შორის, რაც რადიკალურ ოპოზიციას და უცხოელ აქტორებს ევროპულობად სურთ რომ გაასაღონ.

ამიტომ, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ 2012 წლის მსგავსად, 2024 წლის არჩევნებს და მასში „ქართული ოცნების“ გამარჯვებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს.

როგორც წლების წინ, დღესაც, თქვენ წინაშე მდგომი, პირობას გაძლევთ, რომ თქვენი მხარდაჭერის შემდეგ, „ქართული ოცნება“ მშვიდობის, კეთილდღეობისა და საქართველოს ღირსეული ევროპული მომავლის ერთადერთი გარანტი, ერთხელ და სამუდამოდ, არა მხოლოდ პოლიტიკურად დაასრულებს რადიკალურ ოპოზიციას, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ საფრთხეს, არამედ, დღის წესრიგში დადგება „ნაციონალური მოძრაობის“ არაკონსტიტუციურად გამოცხადების საკითხი.

ამას გარდა, გპირდებით, რომ არჩევნებზე დამაჯერებელი გამარჯვების პირობებში, საქართველოში სამუდამოდ დასრულდება უცხო ქვეყნებიდან ჩვენი ხალხისთვის ფსევდო-ლიბერალური ღირებულებების თავს მოხვევის ძალადობრივი მცდელობები, არავის მივცემთ უფლებას, შეურაცხჰყოს ჩვენი რწმენა, კულტურა, ისტორია და ღირებულებები, რაზეც ვიზრდებოდით ჩვენ, იზრდებიან და მომავალშიც გაიზრდებიან ჩვენი შვილები.

მტკიცედ მწამს, რომ ჩვენი მოსახლეობის მხარდაჭერით, არჩევნებზე დამაჯერებლად გავიმარჯვებთ, მაგრამ მნიშვნელოვანია, ეს გამარჯვება იმდენად დამაჯერებელი იყოს, რომ ვერავინ, ვერასდროს გაბედოს იოტისოდენა ეჭვი მაინც შეიტანოს „ქართული ოცნებისადმი“ საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერაში, რათა ერთხელ და სამუდამოდ დავასრულოთ ის პოლიტიკური ქაოსი, რომლის მოწყობასაც კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“, უცხოელ პარტნიორებთან ერთად, მუდმივად ცდილობს.

როგორც ჩემს წინა გამოსვლებში, თქვენს წინაშეც მინდა, მკაფიოდ აღვნიშნო, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, მე და ჩემს გუნდს გვექნება მზაობა, რომ საჭირო დროს და საჭირო მომენტში, ქვეყანა საკონსტიტუციო მოწყობის ისეთ მოდელზე გადავიყვანოთ, რომელიც საშუალებას მოგვცემს ავიხდინოთ ჩვენი მრავალწლიანი ოცნება - საქართველო კვლავ ვიხილოთ ერთიანი და ძლიერი. გარდა ამისა, გამარჯვებისთანავე გადავდგამთ კონკრეტულ ნაბიჯებს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის, მისი გაძლიერებისა და დაცვის მიზნით.

ჩვენ ავსახავთ კონსტიტუციაში მართლმადიდებელი ეკლესიის როლს სწორედ იმ ფორმით, როგორსაც ის იმსახურებს. მართლმადიდებლური ქრისტიანობა კონსტიტუციით განმტკიცდება, როგორც საქართველოს სახელმწიფოს თვითმყოფადობის საყრდენი!

თუმცა, არავის უნდა დაავიწყდეს, რომ საუკუნეებია, ჩვენ ვცხოვრობთ მრავალეთნიკურ ქვეყანაში, საქართველოში, სადაც ქართველებთან ერთად, ასწლეულებია ცხოვრობენ, იბრძვიან, შრომობენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები - ადამიანები, რომლებიც იყვნენ, არიან და მომავალშიც იქნებიან ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი.

ამიტომაც, საქართველოს კონსტიტუციაში მართლმადიდებელი ეკლესიის როლის გამოკვეთით, არცერთი რელიგიური კონფესიის მნიშვნელობა არ დაკნინდება; პირიქით, ჩვენი ქვეყანა სწორედ იმით არის გამორჩეული, რომ სხვადასხვა აღმსარებლობის ხალხს ერთმანეთის რელიგიის უდიდესი პატივისცემა გვაქვს და ასე გაგრძელდება მომავალშიც - თითოეული რელიგიური კონფესია ისევე იქნება დაცული, როგორც აქამდე, მათი თავისუფლების დაცვის გარანტი კი კვლავაც სახელმწიფო იქნება, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო თანაბრად ზრუნავს თითოეულ მოქალაქეზე, განურჩევლად მისი ეროვნებისა და აღმსარებლობისა.

დაბოლოს, სამცხე-ჯავახეთში, თქვენ წინაშე გამოსვლა შოთა რუსთაველის სიტყვებით მინდა დავასრულო.

საუკუნეების წინ, ამ კუთხის შვილმა, დიდმა ქართველმა მგოსანმა დაწერა შეგონება, რომელიც დღესაც აქტუალური და საკრალურია: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“... თქვენი ძალა და ენერგია, თქვენი შემართება მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ 26 ოქტომბერს, საქართველო ისევ გაიმარჯვებს ბოროტებაზე, რაც ჩვენი ქვეყნის გრძელვადიანი მშვიდობისა და სტაბილურობის მყარი საფუძველი იქნება“.

თავდაცვის მინისტრობიდან ქოლცენტრებამდე

ნინო დოლიძე

დავით კეზერაშვილის შავ-ბნელი საქმეების ანატომია

თავდაცვის ყოფილი მინისტრი, დავით კეზერაშვილი ისევ აქტუალურია ანუ გასულ კვირას, ქართველმა ძალოვანებმა ე.წ. ქოლცენტრების შესახებ კიდევ ერთი ინფორმაცია გაავრცელეს. არსებული მონაცემებით, ამ ქოლცენტრის ყველა ან თითქმის ყველა კვალი, პირდაპირ თუ ირიბად, კეზერაშვილამდე მიდის, თუმცა თავად ეჭვმიტანილი ყველაფერს უარყოფს. ვინ არის დავით კეზერაშვილი? – „ვერსია“ არქივიდან ენმ-ს „ფინანსურ კარდინალად“ სახელდებულის დოსიეს მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.

დავით კეზერაშვილი 1978 წელს, თბილისში დაიბადა. 1992 წელს, ბებიასთან ერთად, ისრაელში, კერძოდ, ჰოლონში გადასახლდა, წელიწადნახევრის შემდეგ კი ისევ თბილისში დაბრუნდა. 1999 წელს, თსუ-ს საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი დაამთავრა. ფლობს ინგლისურ, რუსულ, იტალიურ ენებსა და ივრითს. სააკაშვილთან იმ დროიდან მეგობრობდა, როცა მიშა იუსტიციის მინისტრი იყო – მაშინ „კეზერა“, როგორც ეძახიან, მინისტრის თანაშემწედ მუშაობდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კი, ფინანსური პოლიციის უფროსად მოგვევლინა. 2006 წლის 11 ნოემბერს, კეზერაშვილმა, საქართველოს თავდაცვის მინისტრის პოსტზე, ირაკლი ოქრუაშვილი შეცვალა. ეს თანამდებობა აგვისტოს ომის შემდეგ, 2008 წლის 5 დეკემბერს დატოვა.

დავით კეზერაშვილი ორმაგ – საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქეობას ფლობს. 2012 წლის 4 ოქტომბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ კეზერაშვილმა საქართველო დატოვა. წასვლამდე კი, 3 ოქტომბერს, ერთპიროვნულად, კომპანია „მედია ჯორჯია“ დააფუძნა, რომელსაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის აქციების 90%-ის მფლობელმა, ლევან ყარამანაშვილმა თავისი წილიდან 40% ნახევარ მილიონ დოლარად მიყიდა.

2013 წლის 30 იანვარს, დავით კეზერაშვილს დაუსწრებლად, აღკვეთის ღონისძიება შეეფარდა. ბრალდება ასეთი იყო: საჯარო მოხელის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობის ფულის მოთხოვნა და ქრთამის მიღება, საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილი დანაშაული. საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, კეზერაშვილმა, პირადი სარგებლის მიღების მიზნით, გამოიყენა სამსახურეობრივი მდგომარეობა, მფარველობა გაუწია და დაეხმარა დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებს – ნიკოლოზ დავითაშვილსა და იოსებ იმნაძეს უკანონი საქმიანობაში და, სანაცვლოდ, როგორც საჯარო მოხელემ, ქრთამის სახით, 4 მილიონ 669 978 ათასი ამერიკული დოლარი აიღო.

თავდაცვის მინისტრობიდან გათავისუფლების შემდეგ კი, სათავეში ჩაუდგა დანაშაულებრივ ორგანიზებულ ჯგუფს და კონტრაბანდული სპირტის საქართველოში შემოტანის შედეგად, ქრთამის სახით, როგორც კერძო პირმა, 7 მილიონ 664 705 ათასი ამერიკული დოლარი აიღო.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, კეზერაშვილს ბრალი ედებოდა რამდენიმე მუხლით, რაც საბოლოოდ, 11-დან 15-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თავდაცვის მინისტრობას ჩამოშორებული კეზერაშვილი აცხადებდა, რომ პოლიტიკა სამუდამოდ დატოვა, ბიზნესით დაკავდა და თავს ნავთობკომპანია „გალფის“ მფლობელად, უფრო სწორად, ერთ-ერთ მფლობელად წარადგენდა. ნავთობის გარდა, კეზერაშვილს სათამაშო ბიზნესი, ლატარიის კომპანია და სარეკლამო საქმეც აინტერესებდა. ამბობენ, რომ იარაღის შესყიდვის კანონიერ და უკანონო სქემებშიც მონაწილეობდა.

2006 წელს, საქართველოში დარეგისტრირდა კომპანია „სოკარ-ჯორჯია“, რომელიც შედგებოდა რამდენიმე დანაყოფისგან, მათ შორის, „სოკარ-ჯორჯია-პეტროლიუმისგან“, რომელსაც აზერბაიჯანიდან ნავთობპროდუქტების იმპორტის მონოპოლიური უფლება მიეცა. ამ კომპანიის დამფუძნებელნი, ერთი მხრივ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო კომპანია (51%) და მეორე მხრივ, საქართველოს იურიდიული და ფიზიკური პირები იყვნენ – 49%-იანი წილით. პარალელურად, ცენტრალური აზიიდან, აზერბაიჯანსა და თურქმენეთიდან ნავთობპროდუქტების ტრანზიტი საქართველოს შიდა ბაზრისთვისაც გარკვეულ ეტაპზე აიკრძალა და შემოღებული იქნა წესი, რომლითაც ნავთობპროდუქტების იმპორტს საქართველოში ექსკლუზიურად მხოლოდ „სოკარ-ჯორჯია პეტროლიუმი“ ახორციელებდა. 2006 წლიდან ანუ მას შემდეგ, რაც „სოკარი“ საქართველოშია, ბევრი ნავთობკომპანია მოისპო. ყველა დარჩენილი კი, როგორც ამბობენ, „სოკარის“ შვილობილია, მათ შორის, კეზერაშვილის „გალფი“ და დავით სააკაშვილის „ვისოლი“, რომელთაც „სოკარი“ ხელსაყრელ ფასად აძლევს ბენზინს და ამ გარიგებით მილიონები კეთდება, საწვავის ფასი კი გამუდმებით იზრდება.

2010 წელს, საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე, აშშ-ში დარეგისტრირებული კომპანია „ენერჯი ინვესტიმენტს ვენტურა“ შემოვიდა, რომელმაც „სან პეტროლეუმ ჯორჯია“ დააფუძნა. ამ კომპანიის 126 ბენზინგასამართი სადგურიდან – 60 „გალფის“ ბრენდის ქვეშ მუშაობს. კომპანიაში აცხადებდნენ, რომ დაარსებიდან განვითარებაზე 62 მილიონი ამერიკული დოლარის უცხოური ინვესტიცია განხორციელდა. კომპანია ბენზინს „სოკარისგან“ ყიდულობს...

საწვავის ბაზარზე კეზერაშვილის ინტერესები კომპანია „უნი გრუპს“ უკავშირდება, რომელიც „ლუკოილის“ საწვავის დისტრიბუციას ახორციელებს და რომლის თანადამფუძნებელიც კეზერაშვილია. სქემა ასეთია: ბენზინი შემოაქვს „სოკარს“, მისგან ყიდულობს „ლუკოილი“, „ლუკოილისგან“ კი – „უნი გრუპი“. ამ სქემით კომპანიები, როგორც ამბობენ, სახელმწიფოს ხარჯზე, ზემოგებას ნახულობდნენ, რაზეც „ნაციონალთა“ მაკონტროლებლები და თავად სააკაშვილიც თვალს ხუჭავდა, რადგან რაც მეტ ფულს იშოვიდა, მით დიდ ფინანსურ საყრდენად იქცეოდა კეზერაშვილი.

2012 წლის ნოემბერში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „გალფში“ კეზერაშვილის წილი მოსკოვში მოღვაწე, წარმოშობით ქართველმა ბიზნესმენმა, დავით იაკობაშვილმა შეისყიდა, თუმცა, როგორც მაშინ ამბობდნენ, ეს ცრუ ინფორმაცია იყო, რომელიც მიზანმიმართულად გაავრცელეს. მოგვიანებით, რამდენიმე კვირაში, ეს ინფორმაცია დადასტურდა – კეზერაშვილის წილი „გალფში“, მართლაც იაკობაშვილმა შეიძინა.

„ნაციონალების“ მმართველობის დროს, ზომაზე მეტად აფიშირებული ე.წ. ნავთობტენდერები, სადაც ვითომ ნებისმიერ იურიდიულ პირს შეეძლო მონაწილეობის მიღება, ხშირად, შაბათ-კვირას ტარდებოდა, გამარჯვებული კი მუდამ „უნი გრუპი“ გამოდიოდა. განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროები, ტელე-რადიოცენტრი, სახელმწიფო სამხედრო-სამეცნიერო ცენტრი „დელტა“, ფინანსთა სამინისტრო, ზოოპარკი, მერია, სასამართლო ექსპერტიზა, ოლიმპიური რეზერვების ცენტრი, მეცნიერებათა აკადემია, იუსტიციის საბჭო, სპორტისა და ახალგაზრდობის და სოფლის მეურნეობის სამინისტროები, ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფლის მეურნეობის აკადემია, უშიშროების საბჭო, ტყიბულის მუნიციპალიტეტი, ეკონომიკის სამინისტროს სატრანსპორტო ადმინისტრაცია, საკონსტიტუციო სასამართლო, ქვემო ქართლის საქველმოქმედო ორგანიზაციები – ეს იმ დაწესებულებათა არასრული ჩამონათვალია, სადაც სხვადასხვა სახის პროექტს „უნი გრუპი“ ანხორციელებდა.

2008 წელს, აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო, ქვეყნის თავდაცვის მინისტრი კი არსად ჩანდა, ამბობდნენ, დასასვენებლადაა წასულიო.

სააკაშვილი კეზერაშვილს, როგორც სამეფო კარის ბიზნესმენს, სასათბურე პირობებში ამყოფებდა. ამიტომაც, ამ „ფინანსურ კარდინალს“ ისეთი მნიშვნელოვანი საქმეც ანდეს, როგორიც ძველი პარლამენტის შენობის გაყიდვა იყო – არჩევნებამდე, კეზერაშვილი დაცარიელებული პარლამენტის შენობაში ყატარელ ბიზნესმენებს მიუძღოდა და, როგორც ამბობენ, შენობის გადაკეთების გეგმაც თან ჰქონდა. დაგეგმილი იყო, რომ საქართველოს პარლამენტის ისტორიული შენობა სასტუმროდ გადაკეთებულიყო, სადაც ინვესტორები ფეშენებელურ საპრეზიდენტო ნომრებს, აუზებს, კაზინოებსა და სხვადასხვა გასართობ ცენტრს მოაწყობდნენ.

კეზერაშვილის თავდაცვის მინისტრად ყოფნის დროს, ჩვენ ომი სამარცხვინოდ წავაგეთ რუსეთთან, მაგრამ მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი რატომღაც არ დადგა. რატომ? – ეს რიტორიკული შეკითხვაა.

რა დარღვევები გამოვლინდა ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებში

მაკა რუხაძე



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულებით დაგეგმილი და გატარებული ღონისძიებებით დაინტერესდა. აუდიტის ანგარიში, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2018-დან 2022 წლამდე პერიოდს მოიცავს და სახელმწიფოს მიერ, ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულებით დაგეგმილი და გატარებული ღონისძიებების პროდუქტიულობა-ეფექტიანობას ასახავს. სახელმწიფო მაკონტროლებლებმა, აუდიტის ფარგლებში, შეისწავლეს პოლიტიკა და მისი აღსრულების მექანიზმები; სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მომსახურების ხელმისაწვდომობა; ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფა.

ვიდრე სახელმწიფო აუდიტორების მიერ გამოვლენილ ხარვეზებს გაგაცნობთ, აღვნიშნავთ, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიხედვით, მენტალური ჯანმრთელობის პრობლემებს აქვს დამანგრეველი ეფექტი, როგორც ინდივიდსა და ოჯახზე, ისე მთელ საზოგადოებაზე. ამასთან, ორიდან ერთ ადამიანს, სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც ექმნება მსგავსი პრობლემა. საქართველო, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, აღიარებს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობა არის ადამიანის ჯანმრთელობის ფუნდამენტური ნაწილი და საზოგადოების კეთილდღეობის აუცილებელი პირობა, ხოლო ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა უფლებების დაცვა სახელმწიფოს მოვალეობაა. ფსიქიკური ჯანმრთელობის გაძლიერების ეროვნულ კონტექსტში, კრიტიკულად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თითოეული მოქალაქის მენტალური კეთილდღეობის დაცვა და ხელშეწყობა, არამედ, ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე ადამიანების საჭიროებების დაკმაყოფილება.

ხარვეზები ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ჯანდაცვის სამინისტროს შემუშავებული აქვს სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ ძირითად პრიორიტეტებსა და მიმართულებებს ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარებისათვის. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სწორედ ეს დოკუმენტი უზრუნველჰყოფს მომსახურების დაფინანსებას.

„მიუხედავად ამისა, გამოწვევად რჩება პოლიტიკის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების შესრულება, სანდო ინფორმაციის არსებობა და ხარჯების ეფექტიანად და პროდუქტიულად განკარგვის მიზნით დაფინანსების მექანიზმის შემუშავება. სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განსაზღვრავს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების სტრატეგიულ გეგმასა და მექანიზმებს და ახორციელებს მის მონიტორინგსა და შეფასებას. თუმცა, მიუხედავად ამისა: აღსანიშნავია, რომ 2015-2020 და 2022-2030 წლების სტრატეგიებში, ერთი და იგივე მიმართულებები რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად, როგორიცაა ადამიანური რესურსის ნაკლებობა, ამბულატორიული მომსახურების გაძლიერება და შესაბამისი სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფა, მომსახურების ხარისხის ამაღლება, მომსახურებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა და სხვა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ 2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლებში, 2022 წლისთვის დაგეგმილი 8 აქტივობიდან, 2023 წლის მდგომარეობით, შეუსრულებელია 5 აქტივობა, ნაწილობრივ განხორციელდა – 2. მაგალითად, ფსიქიკური ჯანდაცვის სფეროში, პაციენტთა უფლებების დაცვისა და მომსახურების ხარისხის შეფასების მიზნით არ შექმნილა მონიტორინგის ჯგუფი და არ გაუმჯობესებულა მედიკამენტების შესყიდვის მექანიზმი.

ხარვეზები დაფინანსების მოდელში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ სათემო ამბულატორიული სერვისის მიმწოდებლებისთვის მომსახურების დაფინანსების გლობალური ბიუჯეტის პრინციპი წარმოშობს არაერთგვაროვანი მიდგომის რისკებს. კერძოდ, პაციენტების რაოდენობის მიხედვით მიმწოდებლისთვის ხარჯი განსხვავებულია – მეტი პაციენტი გულისხმობს მეტ დანახარჯს, დაფინანსება კი უცვლელია. მაგალითად, სერვისის მიმწოდებლების მიხედვით, 2019 წელს, ერთ პაციენტზე წლის განმავლობაში, საშუალოდ, დახარჯული თანხა მერყეობდა 106-დან 465 ლარამდე.

„დაწესებულებების მიხედვით, განსხვავებულია წარმოდგენილი ხარჯების სტრუქტურა და თითოეული შემადგენელი კომპონენტის პროცენტული წილი მთლიან ხარჯთან მიმართებით, რაც გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთ სერვისში არ არსებობს სამედიცინო დაწესებულებებისთვის განსაზღვრული ხარჯების თანაფარდობის დასაშვები ზღვარი. მედიკამენტების შესყიდვა/გაცემის მექანიზმების გაანალიზების შედეგად აღმოჩნდა, რომ დაწესებულებებს არ აქვთ ერთნაირი მიდგომა და სახელმწიფოს წილით შექმნილი დაწესებულებები მედიკამენტებს ყიდულობენ კონსოლიდირებული შესყიდვით, იმ შემთხვევაში, თუ კერძო დაწესებულებისთვის წამლების შეძენა მოხდებოდა იმავე პრინციპით, წამლებზე გაწეული ხარჯი 35%-ით შემცირდებოდა“.

დარღვევები დოკუმენტაციის ზედამხედველობის მექანიზმში

აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი ნოზოლოგიები განსაზღვრულია დადგენილებით. კრიზისული ინტერვენციის კომპონენტის შესრულების მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული დიაგნოზების მიხედვით აღმოჩნდა, რომ 2018-2022 წლებში, 43 ბენეფიციარს 335 შემთხვევაში მინიჭებული აქვს ისეთი ნოზოლოგია, რომელიც პროგრამით არ არის განსაზღვრული. ასევე, მოზრდილთა სტაციონარის 2018-2022 წლების მომსახურების შესრულების ბაზების ანალიზით გამოვლინდა, რომ 49 ბენეფიციარს 303 შემთხვევაში უფიქსირდება და გლობალური ბიუჯეტის დაფინანსების მოდელის ფარგლებში უნაზღაურდება ისეთი ნოზოლოგია, რომელიც არ არის განსაზღვრული პროგრამით.

„მოზრდილთა სტაციონარის 902 ბენეფიციარი (ამ კომპონენტის უნიკალური ბენეფიციარების 5.9%), სტაციონარში ყოფნის პერიოდში, ასევე ფიქსირდება სათემო ამბულატორიის, კრიზისული ინტერვენციის,

გაგრძელება მე-7 გვერდზე

რა დარღვევები გამოვლინდა ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებში

მე-5 გვერდიდან

ან მობილური გუნდების კომპონენტების ფარგლებში წარმოდგენილ საანგარიშგებო დოკუმენტებში.

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ, ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ გამოქვეყნებული მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანი წინაპირობაა პოლიტიკის შესამუშავებლად, არასრულია. პროგრამაში ჩართული სათემო მომსახურების მიმწოდებელ ზოგიერთ დაწესებულებას (ყოველწლიურად, საშუალოდ, 5 დაწესებულება ანუ 23%) ცენტრისათვის არ წარუდგენია სტატისტიკური ინფორმაცია".

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული მენტალური ჯანმრთელობის პრობლემა, როგორიცაა დეპრესია, ცენტრის მონაცემებით, უფრო იშვიათად ფიქსირდება, ვიდრე შიზოფრენია, რაც მიუთითებს არსებული მონაცემების სისწორის რისკებზე.

„ჯანმოს მიხედვით, მოსახლეობის 3.8%-ს უფიქსირდება დეპრესია, როცა 2022 წლის მონაცემებით, შესაძლოა, 222 ადამიანიდან ერთს (0.45%) ჰქონდეს შიზოფრენია. ცენტრის 2021 წლის მონაცემის მიხედვით, საქართველოში დაფიქსირდა 895 ახალი შემთხვევა შიზოფრენიის, შიზოტიპური და ბოდვითი აშლილობების, როცა გუნება-განწყობის (აფექტური) აშლილობები, მათ შორის, დეპრესიის შემთხვევა მხოლოდ 392-ია, რაც თითქმის ორჯერ ნაკლები მაჩვენებელია".

ხარვეზები დაფინანსებული მომსახურების ხელმისაწვდომობაში

აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ 2018-2022 წლებში, საქართველოს მასშტაბით, 39 მიმწოდებელი დაწესებულება ემსახურებოდა პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების ბენეფიციარებს. მიუხედავად ამისა, კვლავ გამოწვევად რჩება საცხოვრებელთან ახლოს სხვადასხვა სერვისის, როგორც ფიზიკური, ისე ინფორმაციული ხელმისაწვდომობა.

„მიუხედავად ცენტრისა და სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა, მოსახლეობის ინფორმირების მიმართულებით, 150 გამოკითხულიდან 113 რესპონდენტს არ ჰქონდა ინფორმაცია ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის შესახებ. ამავე გამოკითხული ერთობლიობიდან, არ იყო ინფორმირებული 117 მოქალაქე, რომ სამედიცინო სერვისები ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

ინფორმირებულობის დაბალ მაჩვენებელზე, სხვა მიზეზებთან ერთად, მიუთითებს ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკური მონაცემებიც, რომელთა თანახმად, ყოველწლიურად მზარდია ფსიქიკური და ქცევითი აშლილობით დაავადებული პირების რიცხვი, ხოლო სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების რაოდენობა ყოველწლიურად სტაბილურია".

ხარვეზები ფიზიკურ ხელმისაწვდომობაში

2018-2022 წლებში, ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის კომპონენტისთვის მიმწოდებელი მხოლოდ თბილისშია წარმოდგენილი მაშინ, როცა ამავე პერიოდში, ბენეფიციარები წარმოდგენილნი იყვნენ სხვადასხვა რეგიონიდან. ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის კომპონენტისთვის, 2018-2022 წლებში მიმწოდებელი ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ სამ რეგიონში: თბილისში, კახეთსა და იმერეთში.

„ამ წლებში რეგისტრირებული ბენეფიციარების 88%-ის საცხოვრებელი რეგიონი ემთხვევა სწორედ ამ რეგიონებს. შესაბამისად, სხვა რეგიონებში მცხოვრები პოტენციური ბენეფიციარებისათვის ეს სერვისი არ არის გეოგრაფიულად ხელმისაწვდომი. 2018-2022 წლებში, ბენეფიციარების 99%-ის საცხოვრებელ ქალაქში ფუნქციონირებდა ავტორიზებული აფთიაქი, საიდანაც მოსარგებლეს შეეძლო მისთვის გამოწერილი მედიკამენტის მიღება, თუმცა მათ 34%-ს მედიკამენტების მიღება უხდებოდათ საცხოვრებელი ადგილიდან დაშორებულ ქალაქში მდებარე დაწესებულებაში ან/და აფთიაქში, რითაც იზღუდება მედიკამენტებზე ფიზიკურ ხელმისაწვდომობა".

მობილური გუნდის მომსახურება გულისხმობს რეგულარულ ვიზიტებს პაციენტის საცხოვრებელ ადგილას. აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ დაწესებულებები ემსახურებიან სხვადასხვა მუნიციპალიტეტებს, რომლებიც მნიშვნელოვნად დაშორებულნი არიან საწყისი პუნქტიდან. 22 დაწესებულებიდან, რომლებიც ახორციელებდნენ მობილური გუნდის მომსახურებას 2022 წელს, მხოლოდ 12 დაწესებულებას ჰყავდა ავტომანქანა.

„ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სახელმწიფო მართვის მექანიზმია სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლი, რასაც სამინისტრო ახორციელებს სამედიცინო მომსახურების მიწოდების წესების, პირობებისა და ნორმატივების შემუშავების და მათი შესრულების კონტროლის გზით. საკანონმდებლო რეგულაციებში არსებული სხვადასხვა ჩანაწერის მიუხედავად, სამინისტროსა და პასუხისმგებელი ორგანოების მიერ სრულყოფილი ზედამხედველობა არ ხორციელდება. ამასთან, სამედიცინო დაწესებულებების მიერ მტკიცებულებებზე დაფუძნებული სამედიცინო მომსახურების გაწევის შესაძლებლობას სჭირდება გაუმჯობესება".

ხარვეზები სამედიცინო დაწესებულებების ზედამხედველობაში

„ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, ბენეფიციარებმა მომსახურება უნდა მიიღონ ლიცენზირებულ ამბულატორიულ დაწესებულებებში, თუმცა კანონში „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ", ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაზე ლიცენზიის ფლობის მოთხოვნა განსაზღვრული არ არის.

„ამ კანონში მითითებული ჩანაწერის შესაბამისად, სამინისტროს მიერ, 2020 წლის 1 სექტემბრისთვის, იგეგმებოდა მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ჯგუფი აუდიტის პერიოდისათვის არ იყო შექმნილი.

2018-2022 წლებში, რეგულირების სააგენტოს მიერ სტაციონარული დაწესებულებების სანებართვო პირობები შემოწმდა მხოლოდ 2018 და 2019 წლებში, 6 ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. აღსანიშნავია, 2020-2022 წლებში, COVID-19-ის პანდემიის გამო, სანებართვო პირობების კონტროლი არ განხორციელებულა".

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი 12 სტაციონარული დაწესებულებიდან მონიტორინგი ხორციელდებოდა მხოლოდ 3 დაწესებულებაში. დანარჩენი 9 დაწესებულების შეუმოწმებელი შემთხვევების რაოდენობა მერყეობს 83%-დან 98%-მდე.

დასასრული მე-8 გვერდზე

რა დარღვევები გამოვლინდა ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებში

მე-7 გვერდიდან

2019-2021 წლებში, ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარების საწოლების დატვირთვა 5 სამედიცინო დაწესებულებაში აჭარბებდა 100%-ს, მათ შორის, ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც დატვირთვა სამჯერ აღემატებოდა ზღვრულ შესაძლებლობებს.

ხარვეზები მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სამედიცინო მომსახურებაში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების 58 მდგომარეობიდან, რომელსაც ფარავს ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა, გაიდლაინი – კლინიკური მდგომარეობის მართვის რეკომენდაცია, შექმნილია მხოლოდ 15 შემთხვევაში.

„სამინისტროს შემუშავებული აქვს მომსახურების უზრუნველყოფის პროტოკოლები – დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტი, ოღონდ პროექტის სახით, რომელიც აუდიტის პერიოდში არ იყო დამტკიცებული. ამასთან, პროგრამაში ჩართული დაწესებულებიდან, მხოლოდ 6 დაწესებულებას აქვს შემუშავებული პროტოკოლები, საიდანაც ერთი დაწესებულების შემთხვევაში, ეს პროტოკოლი ზოგადი სახის დოკუმენტია“.

განსხვავებული სურათია დაწესებულებების მიხედვითაც, თუ რამდენ ბენეფიციარს ემსახურება მულტიდისციპლინური გუნდის ერთი წარმომადგენელი. მაგალითად, არსებული პრაქტიკის მიხედვით, ერთი ფსიქოლოგი – ერთ სამედიცინო დაწესებულებაში, შესაძლოა, ემსახურებოდეს მინიმუმ – 199, მაქსიმუმ – 9 303 პაციენტს.

რეკომენდაციები

მას შემდეგ, რაც ხარვეზები გამოავლინეს, სახელმწიფო აუდიტორებმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ ცენტრს“, სსიპ „ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოსა“ და სსიპ „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ ცენტრს“ გარკვეული რეკომენდაციებიც გაუწერეს, რომლებიც ხარვეზების გამოსასწორებლად, ამ უწყებებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ.

„ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში, ეროვნული სტრატეგიის შესრულებისთვის, მუდმივი მონიტორინგის მიზნით, უნდა შემუშავდეს მისი ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმი.

საბიუჯეტო სახსრების პროდუქტიულად განკარგვისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის მიზნის სათანადოდ შესრულებისთვის, შეფასდეს არსებული და შეირჩეს პროგრამის დაფინანსების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ორიენტირებული იქნება სერვისის ხელმისაწვდომობის ზრდაზე.

ბენეფიციარებისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ მომსახურებებზე ფიზიკური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, სამედიცინო სერვისების მიმწოდებლების შერჩევის მექანიზმი შემუშავდეს იმგვარად, რომ გაიზარდოს გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა/დაფარვა, როგორც მომსახურებაზე, ასევე მედიკამენტებზე“.

გარდა ამისა, ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ სანდო ინფორმაციის უზრუნველყოფისათვის, უწყებებმა უნდა დანერგონ სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების გადამოწმების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც გააუმჯობესებს ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სერვისების ქვეყანაში არსებული რეალური მდგომარეობის შეფასებასა და რესურსების შესაბისად დაგეგმვას.

„ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, უნდა დაინერგოს ქმედითი მექანიზმი, რომელიც მოსახლეობას აუმაღლებს ცნობიერებას ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ და ასევე შესაბამის სამიზნე ჯგუფებს – ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის შესახებ, რითაც გაიზრდება სერვისებზე მიმართვიანობა.

ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის ფარგლებში, სათანადო ხარისხის მომსახურების მიწოდების მიზნით, შემუშავდეს შესაბამისი პროტოკოლები და გაიდლაინები და დაინერგოს ზედამხედველობის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულებების მიერ პაციენტზე ორიენტირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სამედიცინო მომსახურების მიწოდებას“.

სამართალი

№29 11 სექტემბერი 2024 წ

ცნობილი ადვოკატის ოჯახური სკანდალი

როგორ უღალატა ახალგაზრდა ცოლმა ქმარს გერთან

ბათო ჯაფარიძე

კარგი ადვოკატი ყოველთვის ფასობდა და მით უმეტეს ახლა, როცა საქმეების ძირითადი ნაწილი სასამართლოში წყდება. კარგი ადვოკატები ძალიან ბევრ ფულს შოულობენ, თუმცა აქაურ ადვოკატებს არ ვგულისხმობთ, აქ ათეულობით მილიონის შოვნა ამ პროფესიით ძნელია, საზღვარგარეთ კი – სავსებით რეალური და მისაღები. ამიტომ, არავის უკვირს, უცხოეთში ცნობილი ადვოკატები ერთ-ერთ უმდიდრეს კასტად რომ ითვლებიან და არის საქმეები, რომლებშიც რამდენიმე მილიონს იღებენ ჰონორარად.

თავისი გმირები კომუნისტურ წყობასაც ჰყავდა. ადვოკატი მაშინაც ძვირად ფასობდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა პროფესიონალი იყო, არამედ იმიტომ, რომ იყვნენ ადვოკატები, რომლებიც პროკურორსა თუ გამომძიებელთან, მოსამართლესა თუ სხვა ზემდგომ ორგანოებთან საქმეებს „აიმასქნებდნენ“ და დამნაშავეებს თუ არ ათავისუფლებდნენ, სასჯელს გვარიანად უმსუბუქებდნენ. ჰოდა, სწორედ ერთ-ერთი ასეთი ადვოკატი მივიდა მილიციის განყოფილებაში, გამოცდილი გამომძიებლის გვარი იკითხა და მასთან აუდიენცია ითხოვა. გამომძიებელმა ადვოკატი ინტერესით მიიღო, არ ჰქონდა წარმოებაში ისეთი საქმე, ეს ადვოკატი რომ დაინტერესებულიყო და ამიტომ, ცნობისმოყვარეობა კლავდა, რას ეტყოდა მოსული.

„აგერ, ფოტო, რომელიც გამომიგზავნეს. პრინციპში, რაღა ფოტო, ნახატია და ეს არის ჩემი პორტრეტი, მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ თავზე რქები მადგას. ეს არ არის შემთხვევითი, ადრე, რამდენჯერმე მიმანიშნეს, რომ ცოლი მღალატობს, მაგრამ მე ეჭვის საფუძველი არ მაქვს. რამდენჯერმე, თავადაც ვუთვალთვალე, რამდენჯერმე – ჩემმა ბიჭმა გააკეთა იგივე, ეჭვი ვერ შევიტანე. ახლა კი... ახლა, გული მიგრძნობს, ვინც ეს გამომიგზავნა, ზუსტად იცის, რა ხდება და როგორ ხდება. მზად ვარ, თქვენი ნებისმიერი თხოვნა შევასრულო, ოღონდ გამარკვიეთ, მღალატობს თუ არა ცოლი. არ მინდა, სასაცილო ვჩანდე, როგორც კოლეგების, ისე მეზობლების თვალში“, -განაცხადა ადვოკატმა.

მის განცხადებაში ყველაზე მთავარი ფრაზა „მზად ვარ, თქვენი ნებისმიერი თხოვნა შევასრულო“ იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ გამომძიებლის თხოვნის შემთხვევაში, მას შეეძლო კლიენტი უბრალოდ გაეწირა, ეთქვა, რომ საქმეს ვერ აკეთებდა და ასეთი პირობა გამომძიებელს... ძალიან აწყობდა. მან მოსულს მხოლოდ ინფორმაციის მაქსიმალურად მიწოდება სთხოვა, იმასაც დაჰპირდა, ოფიციალურ საქმეს არ აღვძრავ და ბიჭებს ჯიბის ფულს თუ მისცემ, ცუდი არ იქნებაო. ადვოკაატმა ჯიბიდან ფულის შეკვრა ამოიღო, მაგიდაზე დადო და ჩუმად თქვა – „აქ 2 ათასი მანეთია და დანარჩენს მოგიყვები“...

იმ დროისთვის 2 ათასი მანეთი ძალიან დიდი ფული იყო, ბევრად მეტი, ვიდრე – ჯიბის ფული და გამომძიებლისთვის 100 მანეთიც რომ მიეცა ოპერებისთვის გადასაცემად, ის თანახმა იქნებოდა. რაც შეეხება ისტორიას...

„ერთი ბიჭი მყავს, 22 წლისაა, სწავლობს, იურისტი იქნება ისიც, ოღონდ არ მინდა, ადვოკატი გამოვიდეს. ის მეხმარებოდა ცოლის თვალთვალში, როცა სამსახურის გამო არ მეცალა, მაგრამ ვერც მან და ვერც მე, საეჭვო ვერაფერი შევნიშნეთ. რაც შეეხება ცოლს... პირველი მეუღლე სიმსივნით გარდამეცვალა და ბიჭი სანამ სრულწლოვანი არ გახდა, მეორე ცოლი არ მომიყვანია, მარტომ გავზარდე. მერე კი, ცოლი შევირთე და იმის მიუხედავად, რომ ჩემი მეორე ნახევარი ჩემს შვილზე მხოლოდ 5 წლით არის უფროსი, ერთმანეთს კარგად ვუგებთ, უსიტყვოდ გვესმის. ასეთ ქალს, ალბათ, ვეღარსად ვნახავ და ამიტომ მსურს, რომ ოჯახი შევინარჩუნო. თუ თქვენ მეტყვით, რომ ცოლი არ მღალატობს, ყველაფერს – ნახატს, მინიშნებებს უსიამოვნო სიზმრად და ჩემი მტრების ნახელავად ჩავთვლი“, – განაცხადა ადვოკატმა.

გამომძიებელმა თავი დაიქნია და დაპირდა, სიმართლეს აუცილებლად გავარკვევ, ოღონდ საბოლოოდ რომ დავრწმუნდეთ, შეიძლება, ერთი თვეც კი დამჭირდესო, რაზეც თანხმობა მიიღო. დაახლოებით, ნახევარ საათში, გამომძიებლის წინ სამი ოპერმუშაკი იჯდა და უფროსს ყურადღებით უსმენდა. გამომძიებელმა მათ 500-500 მანეთი ჩაუთვალა (ორი თვის ხელფასი) და დავალების არსი მოკლედ გააცნო. ქალისთვის მხოლოდ ერთს უნდა ეთვალთვალა, დანარჩენ ორს კი, იმ ერთის საქმე სამსახურში ეკეთებინა. მეორე დღეს, სათვალთვალოდ მეორე წავიდოდა, მერე – მესამე და ასე შემდეგ. ოპერები სიხარულით დათანხმდნენ, რადგან ჯამაგირი აშკარად კარგი იყო.

თვალთვალი დაიწყო, თუმცა სამივე ოპერის მორიგეობამ ჩაიარა და გამომძიებელთან სათქმელი არაფერი ჰქონდათ. მართალია, ქალი არსად მუშაობდა, მაგრამ მუდმივად გარეთ იყო, ხან ერთ დაქალს გაუვლიდა, ხან – მეორეს, სადმე შევიდოდა, ყავას დალევდა, მაღაზიებში საათობით დაეხეტებოდა, მაგრამ თითქმის არაფერს ყიდულობდა და შინ აშკარად დაღლილი ბრუნდებოდა, მაგრამ დაღლილი არა საქმით, არამედ იმ ფიზიკური აქტივობით, რომელიც ყოველდღე ჰქონდა. ძალოვნები ხედავდნენ ადვოკატსაც, მის შვილსაც, მაგრამ არაფერი განსაკუთრებული, ყველა თავის საქმით იყო დაკავებული, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ოჯახი გახლდათ. ამის მიუხედავად, ნათქვამი იყო, რომ ქალისთვის ერთი თვის განმავლობაში უნდა ეთვალთვალათ, შესაბამისი ანაზღაურებაც გადახდილი იყო და ამიტომ ოპერმუშაკები თავს არ ზოგავდნენ და დაკისრებულ მოვალეობას მთელი პასუხისმგებლობით ეპყრობოდნენ. მეოთხე თუ მეხუთე მორიგეობა იყო, ერთ-ერთი ოპერი სამსახურში ცხვირჩამოშვებული მივიდა.

„ობიექტი გამეპარა. მაღაზიაში შევიდა, მე გარეთ ველოდებოდი, კარგა ხანს რომ დააგვიანდა, შევიხედე და მეორე კარიდან იყო გასული. იმ მაღაზიაში ხშირად ყოფილა, მეორე გასასვლელით არასდროს უსარგებლია და მეც არხეინად ამიტომ ვიყავი. ისე, შეიძლება მომეჩვენა, მაგრამ დღეს უცნაურად იქცეოდა, თითქოს უკან იყურებოდა, თითქოს ეჭვი ჰქონდა, რომ ვიღაც უთვალთვალებდა. იმედია, დამკვეთს არაფერი წამოსცდა“, – თავს იმართლებდა ოპერმუშაკი.

გამომძიებელმა, ყოველი შემთხვევისთვის, ინფორმაცია დამკვეთთან გადაამოწმა და იმან ხელები გაასავსავა, მაგას როგორ ვეტყოდი, ჩემი შვილის მეტმა არავინ არაფერი იცისო. ძალოვნებს არც ის მოეწონათ, შვილმა რომ იცოდა, მაგრამ აღარ გააპროტესტეს და თვალთვალი განაგრძეს. ისევ არაფერი შეიცვალა, ისევ ისე ხდებოდა და რომ არა იმ ერთი დღის ჩავარდნა, ოპერებს ხელმოსაჭიდი არაფერი ჰქონდათ. ასე მიილია ერთი თვე და...

„შინაგანად არ მჯერა, რომ ის ქალი პატიოსანია. რატომ არ მჯერა? აი, იმიტომ, რომ ამ ხნის განმავლობაში, გზაც კი არ გადაუკვეთავს არასწორად. რატომღაც მგონია, რომ მან ზუსტად იცოდა, ჩვენი თვალთვალის შესახებ და ყველაფერს ჩვენი თვალის ასახვევად აკეთებდა. იმ დღეს კი სწორედ საყვარელთან გაგვეპარა, ჩვენთვის რომ დაეცინა. ამიტომ, ვფიქრობ, დამკვეთს უნდა ვუთხრათ, რომ ყველაფერი რიგზეა, თვალთვალი მოვხსენით და ორი-სამი დღე, მართლაც, მოვხსნათ, მერე კი, განვაახლოთ და ერთი კვირა შევამოწმოთ, ორი-ორი მორიგეობა მოგვიწევს თითოს, რაც არცთუ ბევრია“, – თქვა ერთ-ერთმა ოპერმუშაკმა და დანარჩენებიც დაეთანხმნენ.

დამკვეთი შედეგით კმაყოფილი იყო, გამომძიებელს ხელი მაგრად ჩამოართვა და შინ ბედნიერი სახით წავიდა. ძალოვნებმა ორი-სამი დღე დაისვენეს, შემდეგ თვალთვალი პროფესიონალურ დონეზე დაიწყეს ანუ კონსპირაციით და გაშიფვრის გამორიცხვის მაქსიმალური უზრუნველყოფით. მეორე მორიგეობაზევე, ქალმა დადგენილ მარშრუტს გადაუხვია, ტაქსი გააჩერა და ქალაქის გარეუბანში, ერთ-ერთ კორპუსში მივიდა, მანქანიდან გადავიდა და სადარბაზოში შეკუნტრუშდა. ძალოვნებმა აგენტურული ქსელი ჩართეს.

„ეგ ქალი აქ კვირაში ორჯერ მაინც დადის, საყვარელი ჰყავს, ისიც ახალგაზრდა ბიჭი, ერთად არასდროს მოდიან, მაგრამ ბინიდან, ძირითადად, ერთად გამოდიან ხოლმე“, – ასეთი იყო აგენტურული ქსელის ინფორმაცია. ახლა, მთავარი გახლდათ, როგორმე, იმ ახალგაზრდა ბიჭისთვის გადაეღოთ სურათი, რომ დამკვეთისთვის ენახებინათ. ესეც მაღალ დონეზე მოახერხეს და დამკვეთი განყოფილებაში დაიბარეს.

„ვიცნობ თუ არა ამ ახალგაზრდა კაცს? რატომ მეკითხებით? ვიცნობ კი არა, ეს ჩემი შვილია, ჩემი ბიჭი“, – თქვა ადვოკატმა და ნერვიც არ ატოკებია. გამომძიებელს კი გაუჭირდა, მაგრამ მაინც ამოღერღა, სწორედ ეს არის თქვენი ცოლის საყვარელიო. ადვოკატი ჩაფიქრდა, მერე მტკიცედ შეხედა გამომძიებელს თვალებში და უთხრა – „ვაფასებ თქვენს პროფესიონალიზმს, მაგრამ სანამ საკუთარი თვალით არ დავინახავ, ვერ დავიჯერებ, არ დავიჯერებ. მე უნდა მივიდე იმ ბინაში, მე უნდა გავაღო კარი და ისინი ერთად ვნახო“, – გამომძიებელმა თავი დაუქნია.

ორდღიანი ლოდინი დასჭირდათ ჩასაფრებულებს. ადვოკატმა დაინახა, როგორ შევიდნენ სადარბაზოში მისი შვილი და მისი ცოლი, 15 წუთის შემდეგ, კარზე მეზობლის ქალს დააკაკუნებინეს. კარი ბიჭმა გააღო და ოთახში მამა შევარდა...

განქორწინება ძალიან უხმაუროდ მოხდა, ხმაური არავის აუტეხავს, თუმცა ცოლთან ერთად, მამამ სახლიდან შვილიც გაუშვა, ის საცხოვრებლად ნაქირავებში გადავიდა. ჰო, ბიჭმა ფაკულტეტიც შეიცვალა და სწავლა იურიდიულის ნაცვლად, ისტორიის ფაკულტეტზე გააგრძელა.

ყოფილი მაღალჩინოსნის კრიმინალური ვნებანი

როგორ აღმოჩნდა ახალ თანამდებობაზე მეოცნებე მამაკაცი ციხეში

ბათო ჯაფარიძე

ახლა მარტივად შეიძლება, უზარმაზარი ქონება გქონდეს საკუთრებაში და არავინ გკითხავს, ფული საიდან მოგაქვს. ადრე კი ყველაზე იაფფასიანი ავტომობილის ყიდვასაც სპეციალური ახსნა-განმარტება სჭირდებოდა, საიდან ყიდულობდი, როგორ ყიდულობდი... შესაბამისად, კაცი, რომელსაც სურდა, მანქანა ჰყოლოდა, წერდა, რომ ფულის ნაწილი ძმისგან, მშობლებისგან, ცოლის ნათესავებისგან, ან სულაც, მეზობლებისგან ისესხა, მაგრამ სესხიც გონივრული უნდა ყოფილიყო ანუ გამსესხებელს ბევრი არ უნდა მიეცა, თორემ მერე იმას მოუწევდა ახსნა, ფული საიდან. არადა, რეალურად, გადანახული თანხა, პრაქტიკულად, ყველას ჰქონდა, მაგრამ გამოჩენა ჭირდა. განსაკუთრებით ბევრი ფული სასტუმროების, რესტორნების, ქარხნების, საამქროების დირექტორებს გააჩნდათ. ზოგადად, ასეთი თანამდებობა საშვი იყო არა მარტო დიდ თანხებთან, არამედ, კარგ ცხოვრებასთან, საუცხოო კვებასთან, უცხოურ ტანისამოსთან, 7-მანეთიან „მარლბოროსთან“...

ადრე, ერთ-ერთი საკურორტო ზონა წყალტუბო იყო. პრინციპში, შეიძლება, ახლაც არის, მაგრამ მაშინ, კომუნისტების დროს, „ჩალიჩი“ უნდოდა საგზურს, კარგ ნომერს, კარგ ადგილს და ამიტომ, იყო სასტუმროების კატეგორია, სადაც პროლეტარიატის წარმომადგენლები ადგილს ვერასდროს იპოვნიდნენ, ხოლო მაღალჩინოსნებისთვის თავისუფალი ნომერი ყოველთვის მოიძებნებოდა. შესაბამისად, ასეთი სასტუმროს დირექტორობა პრივილეგია იყო. სასტუმროს შეფები მეგობრობდნენ ყველასთან – მინისტრთა კაბინეტის წევრებიდან დაწყებული, რიგითი საწარმოების დირექტორებით დამთავრებული. რა თქმა უნდა, არცთუ იშვიათად, სასტუმროს ძალოვანი უწყების წარმომადგენლებიც სტუმრობდნენ და ეს იმის მიუხედავად, რომ ძალოვნებს ცალკეც ჰქონდათ გამოყოფილი საკურორტო ზონები.

„აღარ ვიცი, რა ვქნა და რა გავაკეთო? ყოველდღე, ჩემს სასტუმროში საოცრებები ხდება, ხან ჭუჭყიანი თეთრეულია ტუალეტებში მიმოფანტული, ხან საკვებში ბღუჯა-ბღუჯა თმას პოულობენ, ხან – ეს და ხან – ის. ამას წინათ, ცეცხლიც კი გამიჩინეს და სასტუმრო გადაწვას გადარჩა. იცით, ეს რას ნიშნავს? ყველა გარბის, აღარავის უნდა ჩემთან, ყველა წუწუნებს, საყვედურს და შენიშვნას მეუბნება, აქაოდა, სასტუმროს ვეღარ უძღვებიო. რას ჰქვია, ვეღარ ვუძღვები? 12 წელი ვუძღვებოდი და ახლა მეშლება? არა, არაფერი მეშლება, უბრალოდ, ვიღაცას სურს, რომ აქედან კლიენტები წავიდნენ, ის კლიენტები, რომლებსაც წლების განმავლობაში, ასე სათუთად ვაგროვებდი, ასე წვალებით. თუ ასე გაგრძელდება, დამლაგებლების და მომსახურე პერსონალის გარდა, აქ არავინ დარჩება“, – უთხრა ერთ-ერთი სასტუმროს დირექტორმა დასასვენებლად ჩასულ გამომძიებელს და სთხოვა, თუ დამეხმარები დამნაშავის პოვნაში, ჩათვალე, მთელი ცხოვრება შეგეძლება ოჯახთან ერთად ჩამოხვიდე და აქ უფასოდ დაისვენოო.

გამომძიებელმა პირობა მისცა, აუცილებლად გავარკვევ შენს საკითხსო და თავისთვის გადაწყვიტა, ერთი-ორი დღე დავაკვირდები გარემოს, ამას, ალბათ, რაღაცები ეჩვენებაო, მაგრამ იმავე დღეს, სასტუმროს ერთ-ერთი საპატიო სტუმარი აყვირდა, ჩემს მეუღლეს ოქროულობა მოპარესო.

„როდემდე შეიძლება, ეს უმსგავსობა გაგრძელდეს? ეს სასტუმრო აღარ არის, ამას არ ჰქვია დასვენება. ჩემი ცოლის ოქროულობა, ათი ათას მანეთზე მეტი ღირებულების სამკაულები გაქრა. ვინ აანალიზებს, ვინ აგებს პასუხს“, – ყვიროდა დაზარალებული.

ეს კაცი ყოფილი მაღალჩინოსანი გახლდათ და მასზე ამბობდნენ, ძალიან მალე, ისევ კარგ თანამდებობას ჩააბარებენო. ცოლთან ერთად დასასვენებლად რომ ჩავიდა, მაშინვე თქვა, ეჭვი მაქვს, მალე ისეთ სამსახურში დამნიშნავენ, დასასვენებლად ვეღარ მოვიცლიო და მისი წარსულის გათვალისწინებით, ეს არ იყო უბრალო სიტყვები. გამომძიებელი საქმეში მთელი სერიოზულობით ჩაერთო და დაზარალებულის და მისი ცოლის დაკითხვა გადაწყვიტა. ამ მიზნით, მათი ოთახის კართან მივიდა და სანამ დააკაკუნებდა, იქიდან საუბარი გაიგონა. მიაყურადა და...

„არ გამიკვირდება, რომ ის ოქროული შენი მოპარული იყოს. ხომ ვიცი, ყველაფერზე ხარ წამსვლელი, ოღონდ კი ცარიელი გამიშვა“, – ამბობდა ქალი და ცოტა ისტერიკაც ჰქონდა. გამომძიებელმა კარზე დააკაკუნაა.

„არაფერია მოსაყოლი, მე და მეუღლე სადილისთვის გავედით, მერე ერთად ვისეირნეთ 15-20 წუთი და რომ დავბრუნდით, მან ოქროული ვეღარ ნახა. ახლა ჩემთან კი არ უნდა მოდიოდეთ, სასტუმროს დირექტორი უნდა გყავდეთ ერთი ადგილით დაკიდებული და ის უნდა გაძლევდეთ ახსნა-განმარტებებს. მე რატომ უნდა ვიცოდე, ვის შეიძლებოდა წაეღო ოქროული? ათასი ვიგინდარა დადის აქ და მე კიდევ მეგონა, კარგი, პრესტიჟული სასტუმრო იყო“, – ცხარობდა მამაკაცი.

გამომძიებელმა მისი მეუღლე მალევე დაიმარტოხელა და პირდაპირ ჰკითხა, რატომ გგონია, რომ შეიძ;რბა, ოქროული თქვენს ქმარს აეღოო.

„კი იცით, ჩემი მეუღლე უმუშევარია. განქორწინება გადაწყვეტილი გვაქვს წელიწადზე მეტია, უბრალოდ, ერთ ჭერქვეშ ვართ, თორემ არაფერი გვაკავშირებს. მთხოვა, სანამ არ დამნიშნავენ, მანამდე არ წახვიდეო, რადგან ოჯახის დანგრევის შემდეგ, დანიშვნა აშკარად არ ელოდება. ჰოდა, მეც ვითმენ და ველოდები ჩვენი შვილების ხათრით, იმათ რომ უზრუნველი მომავალი ჰქონდეთ. ჰოდა, ჩავთვალე, რადგან უნდა, რომ გავშორდეთ და თანახმაა, ბარემ ოქროულიც თავად მომპარა. შინაგანად მგონია, რომ მართლა მან მოიპარა, უფრო სწორად, მოაპარინა ვინმეს, თორემ ჩემი ხელით შევინახე ზარდახშაში და მერე სულ ერთად ვიყავით, წუთიც კი არ ყოფილა, ჩემი მხედველობის არეში რომ არ ყოფილიყო. ამიტომ, მგონია, რომ აქ ვიღაც თანამზრახველი ჰყავს და ყველა ნომერს თუ გაჩხრეკთ“, – აღარ დაამთავრა ქალმა, თუმცა ყველა ნომრის გაჩხრეკა, შესაბამისი სანქციის გარეშე, გამორიცხული იყო და ნებისმიერს რომ ეჩივლა, კარგი დღე არც სასტუმროს მეპატრონეს დაადგებოდა და არც – გამომძიებელს. ამიტომ, საჭირო იყო სხვა რამის მოფიქრება, შესაბამისად, სასტუმროს მეპატრონესთან საუბრის შემდეგ, გამომძიებელმა დამსვენებლების სახით, სასტუმროში 7 ოპერმუშაკი შეასახლა, რომლებსაც ყველასა და ყველაფრის თვალთვალი დაავალა. შედეგმა არ დააყოვნა და სამი დღის შემდეგ, ოპერმუშაკებს სამი ეჭვმიტანილი ჰყავდათ. სამიდან ორი ნაკლებად საინტერესო იყო, ისინი ჩვეულებრივი დამსვენებლები გახლდნენ და შესაბამისად, ინტერესიც არ უნდა ჰქონოდათ, უბრალოდ, შეგნებულად ანაგვიანებდნენ საპირფარეშოსაც და გარემოსაც, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ეს იმის ბრალი ყოფილიყო, რომ მათ შინაგანი კულტურა არ გააჩნდათ. აი, მესამე, ის კაცი იყო, რომლის ცოლსაც ოქროულობა მოპარეს. მან სასტუმროს უკან, სათავსოში, ხელსახოცი ქაღალდების გროვა დაყარა, შუაში კი, მოკიდებული სიგარეტი ჩააგდო, კარი მიხურა და არხეინად დაეღოდა, როდის გაივსებოდა იქაურობა კვამლით, მერე კი, ხმაური ატეხა, მგონი, გვწვავენო.

გამომძიებლის გადაწყვეტილებით, ყველა ოპერი სწორედ ამ ერთ კაცზე გადაერთო და სწორედ მას უთვალთვალებდა. ერთი შეხედვით, თითქოს, ის სხვებისგან არაფრით განსხვავდებოდა, მაგრამ ეს ერთი შეხედვით – მუდმივად ცდილობდა, სადმე რამე გაეფუჭებინა, ხოლო როცა ორიოდე დღის შემდეგ, ქალაქში წავიდა და მაღაზიაში თაგვის წამალი იყიდა, ძალოვნები დაიძაბნენ. იმავე საღამოს, ვახშმამდე ცოტა ხნით ადრე, მამაკაცი სასადილოსთან წრიალებდა, შემდეგ, მომენტი ნახა, სასადილოში შევიდა და ერთ-ერთმა ოპერმუშაკმა თავად დაინახა, როგორ ჩააგდო იმ ქვაბში რაღაც, სადაც დამსვენებლებისთვის ვახშამი მზადდებოდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, მამაკაცი დააკავეს, მზარეულებს კი, იმ ქვაბიდან საკვების გამოყენება აუკრძალეს და ესქპერტიზაზე გაგზავნეს.

„დამალვას რა აზრი აქვს, ექსპერტიზა მაინც აჩვენებს, რომ ქვაბში თაგვის საწამლავი ჩავყარე. ჩავყარე იმდენი, რომ დამსვენებლებს მუცელი სტკენოდათ, მაგრამ არ მომკვდარიყვნენ. ჰო, ყველაფერს მე ვაფუჭებდი, ცოლის ოქროულიც მე მოვიპარე, უფრო სწორად, ჩემი ძმაკაცის შვილს მოვაპარინე და თბილისში გავატანე, აქ დამსვენებლის რანგში გახლდათ. რატომ ვაკეთებდი ამას? სასტუმროს დირექტორობა მინდოდა, აქ, წყალტუბოში და მითხრეს, ვერავის მოვხსნით, თუ საფუძველი არ გვექნებაო. გადავწყვიტე, საფუძველი თავად შემექმნა და ალბათ, გამომივიდოდა კიდეც, რომ არა თქვენი მონდომება“, – განაცხადა დაკავებულმა.

როცა სასტუმროს მეპატრონემ გაიგო, ვინ იყო მთავარი დამნაშავე, გადაირია, ყველაზე ვიფიქრებდი, მაგაზე არა, რადგან წლებია, ჩემთან დადის, ოჯახებით ვმეგობრობთ, ლამის, დავნათესავდით კიდეც, ვაპირებდი, ჩემი შვილიშვილი მოენათლა და ახლა კიდევ, რა გამოდის, ჩემს მოხსნას გეგმავდაო. გამომძიებელმა დედაქალაქში დარეკა, იკითხა, საქმე ოფიციალურად აღეძრა თუ არა და... თბილისიდან თქვეს, რომ დამნაშავე უნდა დასჯილიყო. სასტუმროს მეპატრონეს განცხადება იმ დღესვე დააწერინეს და საქმეს ოფიციალური მსვლელობაც მისცეს. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ახალი სამსახურის ნაცვლად, ყოფილმა მაღალჩინოსანმა ექვსწლიანი სასჯელი მიიღო.

ბათო ჯაფარიძე

ოჯახური ძალადობა კვლავ რჩება იმ დანაშაულთა რიგებში, რომელიც ყველაზე ხშირად ხდება საქართველოში. ჰო, საქმეების უდიდესი ნაწილი, სწორედ ოჯახურ ძალადობაზე მოდის და ორიოდე თვის წინ, ციხიდან გამოსულმა ერთ-ერთმა „კაი ბიჭმა“ დაიწუწუნა კიდეც, აღარ ღირს ზონაზე ყოფნა, მოძალადეების გვერდში ზიხარ, 70%-ზე მეტი სასჯელს, სწორედ ძალადობისთვის იხდისო.

ძალოვნებს თუ დავუჯერებთ, მათაც დიდად არ სიამოვნებთ, ოჯახური ძალადობის გამო რომ მიდიან გამოძახებაზე, ოჯახურ საქმეებში რომ ერევიან და ეს იმ შემთხვევაში, თუ საქმე, მაგალითად, ხმამაღალ საუბარს ან დაყვირებას ეხება. რა თქმა უნდა, როცა ფიზიკური დაპირისპირებაა, სულ სხვა თემაა, მაგრამ 13-14 წლის გოგო ბოლო ხმაზე რომ წიკვინებს, დედამ ან მამამ დამიყვირა და შინ დაგვიანებისთვის დამტუქსაო, ყველა ხვდება, რომ მშობელი, ძირითადად, მართალია. 13-14 წლის გოგონა სახლში ღამის ორ საათზე რომ მოვა და დაყვირების უფლებასაც აღარ გაძლევს, ცოტა არ იყოს, „ტეხავს“.

ყოფილი ცოლის შურისძიება

როგორ გადაურჩა სიკვდილს შუახნის მამაკაცი

პოლიციის განყოფილებაში ასაკოვანმა ქალმა დარეკა, მიშველეთ, მეზობელი კვდება, სასწრაფო უკვე გამოვიძახე, ახლა კი თქვენ იმიტომ გირეკავთ, რომ ეს კაცი, სანამ გაითიშებოდა, მეუბნებოდა, მომკლესო. რა თქმა უნდა, სამართალდამცავები მითითებულ მისამართზე გავიდნენ.

„კარზე კაკუნი კი არა, ფხაჭუნი გავიგონე, შიშით გავიხედე, არავინ ჩანდა, მერე კიდევ გავიგონე და შიშის მიუხედავად, გავაღე. კართან ეს, ჩემი მეზობელი იწვა, ჩურჩულით მითხრა, პოლიციაში და სასწრაფოში დარეკეო, მერე კი, ისიც დააყოლა, პოლიცია რომ მოვა, უთხარი, რომ მომკლეს, საჭმელში ან სასმელში რაღაც ჩამიყარესო“, – ამბობდა ქალი.

ექიმებმა აშკარად ივარგეს, კაცს პირველადი სამედიცინო დახმარება ჯერ შემთხვევის ადგილზე აღმოუჩნეს, მერე – სასწრაფო დახმარების მანქანაში. ის საავადმყოფოში არ ჰყავდათ მიყვანილი, როცა ზუსტად იცოდნენ, რომ გადარჩებოდა, რადგან სასიცოცხლო ორგანოები აშკარად ფორმაში ჩადგა. მეტიც, მათ სამართალდამცავებს უთხრეს, რომ დაზარალებულის სრულფასოვანი დაკითხვა დილით უკვე შესაძლებელი იქნებოდა. მანამდე კი, ძალოვნებმა სახლში ჩხრეკა ჩაატარეს და საკვებში (წვნიანში) დიდი დოზით დასაძინებელი საშუალება აღმოაჩინეს. სავარაუდოდ, მამაკაცი მალე მიხვდა, რომ რაღაც რიგზე არ იყო, თორემ წვნიანი ბოლომდე რომ შეეჭამა, გადარჩენის შანსი, უბრალოდ, არ ექნებოდა. ახლა, ის იყო საინტერესო, ვინ მოუმზადა წვნიანი და ვინ ჩაუყარა მასში წამლის მომაკვდინებელი დოზა.

„წლებია, ეს კაცი მარტო ცხოვრობს. მას შემდეგ, რაც ცოლს დაშორდა, გოგონას მარტო ზრდიდა, ცოლი კი ღალატისთვის გააგდო. ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ამბობდა. სამი თვეა, გოგონა აღარ მინახავს, ცოტა უხეში კაცია, ვერ ვეკითხებოდი, სად წავიდა ბავშვი. საკვებსაც თავად ამზადებდა, ეხერხებოდა და არ გამიკვირდება, თუ წვნიანი თავად გააკეთა. უცხო აქ არავინ შემიმჩნევია, მაგრამ ავადმყოფი ქალი ვარ, სავარძელში რომ ჩავჯდები ხოლმე, შეიძლება, მთელი დღე არ გავინძრე“, – განაცხადა იმ ქალმა, რომელმაც პოლიციაში დარეკა.

სამართალდამცავებს შვილის მოძებნა არ გასჭირვებიათ. გოგონა აშკარად ორსულად იყო და როცა მამის ამბავი გაიგო, შეიცხადა და საავადმყოფოში მასთან წაყვანა ითხოვა. გოგონასთან ერთად, საავადმყოფოში დაზარალებულის სიძეც წავიდა და გზაში სიძის გამოკითხვა მოხერხდა.

„აბა, რა გითხრათ? არასდროს გვქონია სიძე-სიმამრის ტიპური ურთიერთობა. მუმდივად წინააღმდეგი იყო, რომ მისი გოგო მომეყვანა ცოლად, ხელითაც კი შემეხო ერთხელ. მერე, ჩემმა შეყვარებულმა მითხრა, ერთად ვიყოთ, თუ დავორსულდები, ფაქტს ვერსად გაექცევა და მიგიღებსო. ხელი ჩუმად მოვაწერეთ და როცა ორსულად დარჩა, მამას გამოუცხადა, ასეთი მდგომარეობაა. მე აქაური არ ვარ, ჩემი ბინა არ მაქვს და ქირაობას ვერიდებოდი, რადგან არ გამაჩნია ისეთი შემოსავალი, მეუღლე ყველაფრით უზრუნველვჰყო და თან ქირა ვიხადო. მამამ სახლიდან გამოაგდო და იძულებული გავხდი, ბინა მექირავებინა“, – განაცხადა სიძემ.

ეს მონათხრობი იმას ნიშნავდა, რომ სიძეს მოტივი ჰქონდა, სიმამრი სასიკვდილოდ გაემეტებინა და ბინა დარჩებოდა, მაგრამ იმ დღისთვის მას ალიბი ჰქონდა, მთელი დღე სამსახურში გახლდათ და ესეც არ იყოს, არ ჰგავდა ბიჭი ისეთს, კაცი მოსაკლავად ასე მარტივად რომ გაემეტებინა. მთავარი ის იყო, რას იტყოდა დაზარალებული და ამიტომ, გამომძიებლები მეორე დღის გათენებას მოუთმენლად ელოდნენ.

„მე მგონია, რომ სიძემ გამიმეტა, რადგან სახლის გასაღები მხოლოდ ჩემს ქალიშვილს ჰქონდა, მან წაიღო. გოგო არ მომკლავდა, მამა ვარ, აი, სიძე კი მარტივად მოახერხებდა ამის გაკეთებას. ამიტომ, მისი ალიბი გადაამოწმეთ. მე წვნიანი დილით გავაკეთე, მერე სამსახურში წავედი, ქვაბი მაცივარში შევინახე. მოვედი, გავათბე და მივირთვი. მესამე კოვზზე მივხვდი, რომ რაღაც რიგზე ვერ იყო და აბაზანისკენ წავედი, მინდოდა კუჭი ამომერეცხა, მაგრამ მივხვდი, ვერ მოვასწრებდი და აბაზანის ნაცვლად, გარეთ გავედი, მეზობელს დავუკაკუნე და მერე არაფერი მახსოვს“, – განაცხადა დაზარალებულმა.

სამართალდამცავებმა სიძის ალიბი მართლაც წუთებით და წამებით გადაამოწმეს, მაგრამ რამე საეჭვო ვერ აღმოაჩინეს – ის სამსახურში გახლდათ და მუდმივად, ყველაზე ცოტა, სამი ადამიანი ხედავდა, თანაც მისი სამსახურიდან სიმამრის სახლამდე 30 წუთის სავალი მაინც იყო და ამდენხანს მის გაქრობას ყველა შეამჩნევდა. გადაამოწმეს გოგოს ალიბიც – ის იმ დღეს პირად გინეკოლოგთან იყო გეგმიურ შემოწმებაზე, შემდეგ – სახლში ანუ დრო ჰქონდა, შინ შეერბინა და წვნიანში საწამლავი ჩაეყარა, მაგრამ... არც ძალოვნებს სურდათ იმის დაჯერება, რომ შვილმა მამა გაიმეტა და არც – მამას სჯეროდა.

„იცით, მე მთელი დღე აივანზე ვზივარ და გამახსენდა, რომ სწორედ მაგ დღეს, ჩვენს სადარბაზოში უცხო ქალი შემოვიდა. უცხო იმიტომ იყო, რომ თავშალი ჰქონდა შემოხვეული და სახესაც მალავდა. ვერ ვიცანი, კი ვიფიქრე, ნეტავ, ვისთან შეიძლება მიდიოდეს-მეთქი, მაგრამ მერე ფიქრს თავი დავანებე. ახლა კი, ვფიქრობ, რომ დანაშაული სწორედ იმ ქალმა ჩაიდინა“, – განაცხადა ერთ-ერთმა მეზობელმა და სამართალდამცავებსაც ხელჩასაჭიდი გაუჩნდათ. საინტერესო იყო, ხომ არ ჰყავდა დაზარალებულს მეგობარი ქალბატონი, რომელიც გააბრაზა და რომელსაც ასეთ რადიკალურ ნაბიჯზე შეეძლო წასვლა.

„არა, მეგობარი ქალი არ მყავს. როცა ქალი მინდა, არსებობს შესაბამისი დაწესებულება, სადაც მიხვალ, ფულს გადაიხდი, ჟინს დაიკმაყოფილებ და წამოხვალ. ამიტომ, ეს ვარაინტი გამორიცხეთ“, – განაცხადა დაზარალებულმა და... სამართალდამცავებმა გოგონას დედის შესახებ ჰკითხეს.

„დედა ძალიან ცუდად მახსოვს. მამამ მითხრა, რომ მან უღალატა, რომ მეც მიმატოვა და მისი მჯერა. იცით, რატომ მჯერა? ამ ხნის განმავლობაში, მას ერთხელაც არ ჰქონია სურვილი, თუ მცდელობა, ვენახე. არც კი ვიცი, სად ცხოვრობს, როგორ ცხოვრობს... შინ მოსვლას თუ უშლიდა მამა, ხომ არსებობს სკოლა, მანამდე არსებობდა ბაღი, ბოლოს და ბოლოს, უმაღლესი სასწავლებელი. ამიტომ ვფიქრობ, რომ მამა სწორად მოიქცა, როცა ასეთი ქალი მოიშორა“, – განაცხადა გოგონამ.

ძალოვნებმა მისი ძებნა მაინც განაგრძეს და... იქვე, იმავე უბანში იპოვეს. როგორც მეზობლები ამბობდნენ, ქალი იმ უბანში, დაახლოებით, ათი წლის წინ დასახლდა, მაგრამ აღვირახსნილ ცხოვრებას არ ეწეოდა, ჩუმი, მშვიდი ქალბატონი იყო. ის დასაკითხად წაიყვანეს და პარალელურად, მისი ბინის ჩხრეკაც ჩაატარეს. განყოფილებაში მისულ გამომძიებელს ქალის ბინიდან დაურეკეს და უთხრეს, რომ მის სახლში ძილის წამლის ზუსტად ის ფლაკონი იპოვეს, რომელიც კაცის წვნიანში იყო ჩასხმული.

„როგორც ვხვდები, დამალვას აზრი არ აქვს და არც ვაპირებ. მთელი ცხოვრება გამიმწარა მაგ კაცმა, მერე, დაშორება რომ გადაწყვიტა, ღალატში დამდო ბრალი და ბავშვი წამართვა. არადა, არასდროს მიღალატია. ბავშვთან მიახლოება ამიკრძალა, მითხრა, თუ გავიგებ, მოგკლავ ან შენს თავს დავაჭერინებო. მაშინ დიდი გავლენები ჰქონდა და მეშინოდა, ჩემს გოგოს მხოლოდ შორიდან შევავლებდი ხოლმე თვალს. მერე აქ, ახლოში დავსახლდი და როცა გავიგე, რომ ჩემი შვილი გათხოვებას აპირებდა, მამა კი უშლიდა, გავმწარდი. ჩემზე უკეთეს დღეში არც ის ჰყავდა. მერე ისიც გავიგე, რომ შვილი სახლიდან გააგდო და შურისძიება გადავწყვიტე. ჰო, მინდოდა, ჩემი შვილისთვის ეს დესპოტი მომეშორებინა და გავაკეთე ის, რაც გავაკეთე. სახლის გასაღები ჯერ კიდევ მაშინ, წლების წინ გამყვა და ბედის ირონიით, მას არც საკეტი შეუცვლია და არც გაფუჭებულა. დასაძინებელი წამალი მე ჩავყარე და არ ვნანობ“, – განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლომ ყოფილი მეუღლის მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდებულს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ქურდობის ბრალდებით, პოლიციამ თბილისში უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უკრაინის ორი მოქალაქე, 1992 წელს დაბადებული ი.ჰ. და ამავე წელს დაბადებული ლ.ი. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ი.ჰ.-მ თბილისში მდებარე ერთ-ერთ ბინაში, ქურდობის მიზნით, უკანონოდ შეაღწია, სადაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა მოქალაქის კუთვნილ ნივთებს.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულმა ლ.ი.-მ თბილისში, ერთ-ერთ სახლში, ქურდობის მცდელობის მიზნით შეაღწია, თუმცა განზრახვა ვერ განახორციელა. მან შემდეგ სხვა მოქალაქის კუთვნილი ავტომობილი გაქურდა.

საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ბრალდებულის სახით, პოლიციამ უკრაინის ორი მოქალაქე დააკავა.

სამართალდამცველების მიერ ნივთმტკიცებად ამოღებულია ნაქურდალი ნივთები.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 19-177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე საქართველოში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს რეგიონალური უსაფრთხოების ოფიცერს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა საქართველოში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს რეგიონალური უსაფრთხოების ახლადდანიშნულ ოფიცერთან, დევიდ ჰიდლსტონთან.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, დევიდ ჰიდლსტონს აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და სამომავლო საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა არსებულ თანამშრომლობასა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს. ალექსანდრე დარახველიძემ ხაზი გაუსვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ყოველთვის მზადაა თანამშრომლობის გაფართოებაზე, უწყების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ არსებული ორმხრივი თანამშრომლობა ერთობლივი ძალისხმევით, მომავალში, კიდევ უფრო ინტენსიური გახდება.

მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა უცხო ქვეყნის 33 მოქალაქე საქართველოდან გააძევეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გასულ თვეში, სხვადასხვა ქვეყნის 33 მოქალაქე ქვეყნიდან გააძევეს. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ნაწილმა საქართველო ნებაყოფლობით დატოვა, ნაწილი კი მიგრაციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად იძულების წესით იქნა გაძევებული ქვეყნიდან.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ქვეყნიდან გაძევებულ იქნა ირანის ისლამური რესპუბლიკის, იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს, ინდოეთის რესპუბლიკის, თურქეთის რესპუბლიკის, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის, ავსტრალიის, პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის, ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ერაყის რესპუბლიკის, და რუსეთის ფედერაციის, ჯამში, 33 მოქალაქე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი წარმოადგენს ქვეყნის შიგნით უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე პასუხისმგებელ ორგანოს. მისი ერთ-ერთი კომპეტენციაა საქართველოში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეების გამოვლენა და საქართველოდან გაძევების განხორციელება.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, პედოფილიის რეესტრისა და მონიტორინგის მექანიზმის შექმნის ინიციატივა კრიმინოლოგებს წარუდგინა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა კოკა კაციტაძემ, მოადგილე ნათია სონღულაშვილთან ერთად, კრიმინოლოგებსა და დარგის ექსპერტებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინიციატივა გააცნო, რომელიც პედოფილიასა და სექსუალური გამოძალვისთვის მსჯავრდებული პირებისთვის ელექტრონული რეესტრისა და სახელმწიფო მონიტორინგის მექანიზმის შექმნას ისახავს მიზნად.

აღნიშნულ ინფორმაციას სპეციალური საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

საგამოძიებო სამსახურის ცნობით, ელექტრონულ რეესტრში შეყვანას, მონიტორინგს და უფლებების ჩამორთმევას დაექვემდებარებიან ის მსჯავრდებულები, რომელთაც სპეციალური საგამოძიებო სამსახური გამოავლენს მცირეწლოვანი ბავშვების, არასრულწლოვანი პირების მიმართ ჩადენილ სექსუალურ გამოძალვასა და სქესობრივ დანაშაულებში, ასევე ის პირები, რომლებიც პირადი ცხოვრების კადრებს მოიპოვებენ და ავრცელებენ ანგარების მიზნით, ასევე ის მსჯავრდებულები, რომელთაც მსგავსი ტიპის რამდენიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი ან ამ დანაშაულს სჩადიან განმეორებით.

„აღნიშნული დანაშაულებისთვის მსჯავრდებული პირების მიმართ გამოყენებული იქნება სხვადასხვა შემზღუდველი ღონისძიებები, როგორიც არის არასრულწლოვანთან ერთად ცხოვრების, საგანმანათლებლო დაწესებულებასთან 30 მეტრის რადიუსში მიახლოების, მგზავრთა გადაყვანის უფლების ჩამორთმევა, საექიმო და პედაგოგიური საქმიანობის, სოციალურ მუშაკად მუშაობის აკრძალვა და ა.შ.

რაც შეეხება სახელმწიფო მონიტორინგს, იგი მოიცავს გარკვეული პერიოდულობით მსჯავრდებული პირის საგამოძიებო ორგანოში გამოცხადების ვალდებულებას, საცხოვრებელ და სამუშაო მისამართზე პირის შემოწმებას, მისგან ინფორმაციის მოთხოვნას და სხვა პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

კრიმინოლოგებმა და დარგის ექსპერტებმა სამსახურის ინიციატივა დადებითად შეაფასეს, იმსჯელეს განსახილველი დანაშაულის, მათ შორის პედოფილიის გამომწვევ მიზეზებზე, პრევენციის მექანიზმებზე და შეხვედრის მონაწილეებს საკუთარი რეკომენდაციები გაუზიარეს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური, პედოფილიასთან და მასთან დაკავშირებულ დანაშაულებთან საბრძოლველად საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების მიზნით, საქართველოს პარლამენტთან აქტიურ თანამშრომლობას გეგმავს.

შეხვედრას, გამოძიების ხარისხის მონიტორინგისა და ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი ლევან ქუთათელაძე, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი გიორგი თუმანიშვილი, „თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის“ მეცნიერ-თანამშრომელი გიორგი თორდია, სამართლის დოქტორი, პროფესორი ამირან მოსულიშვილი, „თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის“ უფროსი მეცნიერ თანამშრომელი თემურ ცქიტიშვილი, „მაქს პლანკის“ ინსტიტუტის კრიმინოლოგი ალექსანდრე ღლონტი, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი გიორგი დგებუაძე და „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი, კრიმინოლოგი დავით წულაია ესწრებოდნენ“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში

აჩეხილი გუნდი და ქართველთა საოცარი სტარტი

მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, საქართველოს ნაკრები ჩეხეთს შეხვდა და ფრედ, 1:1 ითამაშა. მაშინ, გიორგი მამარდაშვილმა საოცარი მატჩი ჩაატარა, არარეალური ბურთები აიღო და ცოდვა გამხელილი სჯობს – გაგვიმართლა, რომ არ დავმარცხდით. თუმცა, ისიც სათქმელია, ბოლო წუთზე, საბა ლობჟანიძეს რომ გაეტანა, სხვა სცენარი იქნებოდა. იმ ფრეს მიუხედავად, ჩვენმა გუნდმა მაშინ გადამწყვეტ შეხვედრაში პორტუგალია დაამარცხა და ჯგუფიდან გავიდა, ჩეხეთი კი ჯგუფში ჩარჩა. სწორედ მაშინ დაიმუქრნენ ჩეხები, ჯგუფში ჩარჩენას განანებთო და მათმა თავკაცმა, ივან ჰაშეკმა შემოგვითვალა, სექტემბერში, თბილისში, მარტივად მოგიგებთო.

ერთა ლიგის წლევანდელი გათამაშება, სწორედ ჩეხებთან შეხვედრით დავიწყეთ და საწყისი წუთები ისეთი იყო, ეჭვი გაჩნდა, ჰაშეკი დანაპირებს შეასრულებდა, მაგრამ მერე ჩვენი გუნდი დალაგდა, ხვიჩა კვარაცხელიას პენალტით დავწინაურდით და შესვენებაზე 1:0-ზე გავედით. მეორე ტაიმში კი... მეორე ტაიმში მოედანზე მხოლოდ ერთი ნაკრები იყო და მას საქართველო ერქვა. ჩვენმა გუნდმა საერთო ჯამში 4 გოლი გაიტანა და რაც მთავარია, მეტოქე ყველა კომპონენტში დაჩაგრა. შეხვედრის დასრულების შემდეგ, ჩეხური მეედია კატეგორიულად ითხოვდა, ჰაშეკმა თანამდებობა დატოვოს, ასეთი ნაკრები არაფერში გვჭირდებაო და ვინ იცის, ივან-ბატონის პოსტი, შესაძლოა, სწორედ საქართველომ შეიწიროს.

ჩვენს ჯგუფში ითამაშეს მომავალმა მეტოქეებმაც – ნეიტრალურ მოედანზე, უკრაინამ ალბანეთს „უმასპინძლა“ და 1:2 დამარცხდა. 10 სექტემბერს, სწორედ ალბანელებს ვხვდებით და უნდა მოვიგოთ. ჰო, უნდა მოვიგოთ, რადგან ჩვენს ბიჭებს ამის ძალა შესწევთ და ვგონებთ, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, პირველად არის, როცა ჩვენი საფეხბურთო ნაკრების იმედი გვაქვს, რომ გვჯერა თითოეულ მატჩში მათი წარმატების და მოდით, დღეს ნებისმიერ ქართველ გულშემატკივარს ჰკითხეთ, შეძლებს თუ არა საქართველო არათუ მეორე დონის ნაკრებების დამარცხებას, არამედ, ტოპ-გუნდების მოგებას. ყველა გეტყვით, რომ დღეს საქართველო თუ ვერ მოუგებს, ტოლ-სწორად ეთამაშება ინგლისს, გერმანიას, იტალიას... და ეს ძალიან, ძალიან მაგარი შეგრძნებაა.

რა ელის მამარდაშვილს ერთი წლის შემდეგ

ჩეხეთთან მოგებული შეხვედრის ერთ-ერთი გმირი, უდავოდ გიორგი მამარდაშვილი იყო. სანამ ანგარიში გაიხსნებოდა, ჩვენმამეკარემ ურთულეესი ბურთები მოიგერია და ბიჭებს თავდაჯერება შემატა. მას ვრცელი სტატია მიუძღვნა ლივერპულურმა გამოცემამ, რომელშიც შექების გარდა, გიორგის მომავალთან დაკავშირებით, გარკვეული ვარაუდები იყო გამოთქმული და მოდით, ვაღიაროთ, რომ ეს ვარაუდები სიმართლესთან ძალიან ახლოსაა.

ლივერპულური გამოცემის აზრით, მერსისაიდული კლუბი სწორად მოიქცა, როცა ასეთი დონის მეკარე გადაიბირა, მაგრამ „ლივერპულს“ გუნდში ჰყავს ალისონ ბეკერი, ბრაზილიელი კიპერი, რომელიც საუცხოოდ თამაშობს და წელსაც ძალიან კარგ სეზონს ატარებს. ინგლისის პრემიერლიგაში 3 ტური მიილია, „ლივერპულის“ კარს სამივე შეხვედრაში, სწორედ ალისონი იცავდა და ის ერთადერთია, რომელსაც ჯერჯერობით გოლი არ გაუშვია. რა გამოდის? „ენფიულდის“ ბინადართ ჰყავთ ძალიან კარგი მეკარე და ძალიან კარგი მეორე მეკარე, მაგრამ... რატომ უნდა წავიდეს ალისონი მიმდინარე სეზონის ბოლოს, როცა მასთან პრეტენზია არავის გააჩნია. ერთადერთი, რის გამოც მან შეიძლება „ლივერპული“ დატოვოს, ის ჯამაგირია, რომელსაც არაბული კლუბები სთავაზობენ, მაგრამ რომ დარჩეს, რა მოხდება? „ვალენსია“ მამარდაშვილთან იჯარას აღარ გააგრძელებს, მან ესპანური კლუბი უნდა დატოვოს და გადავიდეს... „ლივერპულში“ ვერა, რადგან უდიდესი შეცდომა იქნება, თუ მერსისაიდელები ერთ ან მეორე მეკარეს სათადარიგოთა სკამზე დასვამენ. ამას არცერთი არ შეეგუება და გამოვა, რომ „ლივერპული“ გიორგის ისევ გაანათხოვრებს, ოღონდ ამჯერად ინგლისურ კლუბში, რათა ის პრემიერლიგას შეეგუოს.

ასეა თუ ისე, თამამად იმის თქმა, რომ მამარდა მომავალ სეზონს უეჭველად „ლივერპულში“ დაიწყებს, ჯერჯერობით, არ შეიძლება. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რას იზამს ალისონ ბეკერი, რომელსაც ახალ სეზონში, მოედანზე გატარებულ 270 წუთში, ჯერ გოლი არ გაუშვია.

არველაძე „ტრაბზონში“ ბრუნდება

იმის მიუხედავად, რომ თურქული „ტრაბზონსპორის“ ხელმძღვანელებმა გუნდში სერიოზული ინვესტიცია განახორციელეს, კლუბმა ახალი სეზონი მაინც ცუდად დაიწყო. საწყის ორ ტურში, ტრაბზონელებმა ორი ფრე ითამაშეს და გოლის გატანა ვერ მოახერხეს. შესაბამისად, კლუბის შეფობა მოცდას აღარ აპირებს და მთავარ მწვრთნელად ლეგენდარული შენოლ გიუნეში მიჰყავს. ეს კაცი თურქულ ფეხბურთში დიდად ცნობილი და დაფასებულია, „ტრაბზონს“ მაშინაც წვრთნიდა, როცა იქ ძმები არველაძეები თამაშობდნენ, მერე თურქეთის ნაკრებსაც გაუძღვა. მოკლედ, „ტრაბზონსპორში“ გიუნეშის ეპოქა ახლიდან იწყება, თუმცა...

„გიუნეშს სურს, რომ მისი ყოფილი შეგირდი, შოთა არველაძე ახლა კლუბის სპორტული დირექტორი გახდეს და ახალი ფეხბურთელების მოძიებაში დაეხმაროს. ამიტომ, ახალ მწვრთნელთან ერთად, კლუბში ახალ სპორტულ დირექტორსაც წარადგენენ და ის შოთა არველაძე იქნება“, – წერს თურქული მედია.

შეგახსენებთ, რომ შოთა „ტრაბზონში“ 1993-97 წლებში თამაშობდა და ამ გუნდის მაისურით ჩატარებულ 94 შეხვედრაში, 61 გოლი გაიტანა, მერე კი, „აიაქსში“ გადავიდა და... იქ უკვე, ამსტერდამული კლუბის ლეგენდების სიაში ჩაეწერა.

როცა ადებოიჯო ხარ...

ვიქტორ ადებოიჯო ინგლისის ქვედა ლიგის ბინადარ „ბოლტონის“ ფორვარდია. ნიგერიელი ერთ დროს სახელოვან კლუბში ურიგოდ ნამდვილად არ ირჯება და ვინ იცის, ეგებ, სწორედ მისი შემწეობით, „ბოლტონი“ სეზონის ბოლოს ჩემპიონშიპში აღზევდეს, იქიდან კი, პრემიერლიგამდე ერთი ნაბიჯია, მაგრამ...

ლიგა ერთის ბოლო ტურში, ადებოიჯო განაცხადში არ იყო და რაღა თქმა უნდა, ლიდერის არყოფნის გამო, მატჩის შემდეგ, ჟურნალისტებმა მთავარ მწვრთნელს კითხვა დაუსვეს.

„რასაც ახლა ვიტყვი, მინდა, რომ საქილიკო თემა არ გახდეს. ადებოიჯომ დაცემინა და ტრავმა მიიღო. ჰო, ის რაღაც უცნაურად აცემინებს, სეზონის წინაც გვქონდა შემთხვევა, როცა დაცემინების გამო, მან ზურგის ტრავმა მიიღო და ორი კვირა მკურნალობდა. ახლა კი, ნეკნებს შორის კუნთი გაეჭიმა და ესეც დაცემინების გამო მოხდა. გარდა ტრავმის მკურნალობისა, ექიმები ადებოიჯოს სწორად დაცემინებას ასწავლიან“, – განაცხადა მწვრთნელმა.

მოკლედ, ნიგერიელი ფეხბურთელი იმდენად უცნაურად აცემინებს, რომ ორჯერ ხომ ახლა მიიღო ტრავმა და ბავშვობაში, ამის გამო, ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, სერიოზული პრობლემა არაერთხელ ჰქონია.

ჰოლანდი „სიტიში“ რჩება, მაგრამ... „რეალში“ უნდა

„მანჩესტერ სიტის“ ნორვეგიელი ფორვარდი, ერლინ ჰოლანდი სასწაულებს სჩადის. აგერ, ინგლისის პრემიერლიგის ახალ სეზონში, ჯერ მხოლოდ 3 ტური ჩატარდა და მას უკვე 7 გოლი აქვს გატანილი. ზოგადად კი, „სიტის“ მაისურით გამართულ 102 შეხვედრაში, ჰოლანდმა მეტოქეეთა კარი 97-ჯერ აიღო და ზედ 14 საგოლე გადაცემაც გააკეთა, რაც ფენომენალური შედეგია. ჰოდა, ძალიან მარტივია იმის გათვლა, რომ მანჩესტერელებს მასთან კონტრაქტის გახანგრძლივება სურთ და ერლინგიც თანახმაა კლუბში დარჩეს, თუმცა ერთი პირობით.

„დიახ, მე აქ დარჩენა მსურს და კარიერის ბოლომდე აქ სიამოვნებით ვითამაშებდი, მაგრამ არსებობს ერთი გამონაკლისი. თუ ახალ კონტრაქტს გავაფორმებ, იქ უნდა ჩაიწეროს, რომ წასვლის უფლება მექნება იმ შემთხვევაში, თუ ჩემს შეძენას მადრიდის „რეალი“ გადაწყვეტს. დიახ, სამეფო გუნდი ერთადერთია, რის გამოც აქაურობას შეველევი“, – განაცხადა ჰოლანდმა და ინგლისური მხარეც მზად არის, კონტრაქტში ეს მუხლი შეიტანოს და ნორვეგიელის გამოსასყიდ თანხად „რეალს“... 250 მილიონი ევრო ჩაუწეროს.

ვანო პავლიაშვილი

რძალი

ლილიკოს დილა ნაშუადღევს ყავითა და სიგარეტით იწყებოდა – უშაქრო ყავა და „მარლბორო“ სოფელში გათხოვილი ქალაქელი გოგოსთვის ნამდვილი ნირვანა იყო, თუმცა ამ „აბსოლუტურ ნეტარებას“ დედამთილის გაუთავებელი ვიშვიში მდუღარესავით ესხმებოდა. ბევრი ეცადა ელიკო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

– რა ვქნა, ქა, გულმა ვერ მიიღო, – თვალზე მომდგარ ცრემლს წინსაფრის ბოლოთი შეუმჩნევლად იმშრალებდა და მეზობლის დედაკაცებთან რძლის „დამუშავებას“ განაგრძობდა, – სკდება ყავით, ქა, დღეში ორ ლიტრს მაინც სვამს. ახლა, პაპიროსს აღარ იტყვით? აფუილებს და აფუილებს, რა ენაღვლება მაგას ჩემი საწყალი ბიჭის მონაგარი... ქალი შიშით სახლიდან ვერ გამოვდივარ, პაპიროსის ნაპერწკალი რამეს არ მივარდეს და ერთიანად არ ამოვიბუგოთ...

ავია, მაგრამ მეოჯახე ქალია, შვილზე გადამკვდარი დედაა, – ამბობდნენ სოფელში ელიკოზე. ელიკოც აღიარებდა, რომ ავი იყო, მაგრამ თავს იმართლებდა, ძაღლის ყბა რომ არ მქონოდა გამობმული, ჩემი ბოთე ქმრის შემყურე, ოჯახს ფეხზე ვერ დავაყენებდიო.

არადა, სარდიონი ბოთე არ იყო. უბრალოდ, სხვა სოფლელ კაცებს არ ჰგავდა – „ბირჟაზე“ დგომას კითხვა ერჩია, მინდორში ცხვრისა თუ საქონლის დევნას – კარგი ფილმის ყურება... თეატრი, უფრო სწორად, ოპერა უყვარდა და თუკი შემთხვევით ტელევიზორში „აბესალომისა და ეთერის“, ან რომელიმე სხვა სპექტაკლის ნაწყვეტს აჩვენებდნენ, ეკრანს თვალს ვეღარ სწყვეტდა ხოლმე.

– მამა გიცხონდა, შენც არ მყავდე კარუზოო, – ქოქოლას აყრიდა ელიკო ქმარს და სწორედ მაშინ მოუნდებოდა „ზალაში“ „უბორკის“ ჩატარება.

– რა იყო, ქალო, მტრის ოჯახში ხომ არ ხარ, უხმაუროდ არ შეგიძლია დაგვა-დაწმენდაო? – წამოილუღლუღებდა ხოლმე სარდიონი და ელიკოსაც მეტი რა უნდოდა, სარდიონის წყევლით გულს რომ იჯერებდა, მერე, მის სანათესაოს მისდგებოდა...

ოთარმა რომ თქვა, ცოლს ვირთავო, სარდიონმა შეუმჩნევლად გაიღიმა და ბიჭს მხარზე ხელი დაარტყა, შვილი მომესწროო. ეს ახალი ამბავი არც ელიკოს სწყენია, მაგრამ ოთოს შეკითხვები ავტომატის ჯერივით დააყარა:

– როგორი გოგოა, შვილო?.. ჩვენი სოფლელია?.. დედისერთაა, ორნი დანი არიან, თუ ძმაც ჰყავს?.. გამხდარი ხომ არაა? ხომ იცი, გამხდარი ქალი ოჯახს არ გამოადგება... არ გახსოვს, „ტაოტაანი“ რა დღეში ჩააგდო ზურიას თვალებამოღამებულმა ცოლმა – იგეთი გამხდარი და უდღეური იყო, ოდნავ ნიავი დაუბერავდა თუ არა, ავად ხდებოდა. ჰოდა, დროზე მოიცლეს... – ელიკომ, ალბათ, იმის ხაზგასასმელად, რომ თვითონ „თვალებამოღამებული“ არ იყო, თურაშაული ვაშლივით აღაჟღაჟებულ ლოყაზე ხელი მადიანად მოისვა...

– დე, ჩემს ლილიკოს შენსავით ლოყები არ აქვს, – გაიღიმა ოთომ და დედას მხარზე ხელი გადახვია. ელიკოს გულმა რეჩხი უყო, მაგრამ ხმა აღარ ამოუღია...

... დედამთილის ვაი-ვიშით შეწუხებულმა ლილიკომ ნახევრად დამწვარი „მარლბორო“ გამოცარიელებულ ყავის ფინჯანში ჩაუძახა და ფანჯარაში გაიხედა – უბნის ბავშვები სევერიანს ელაზღანდარავებოდნენ. მას შემდეგ, რაც სამოცდაათს გადასცილდა, სევერიანი, ფეხებითაც რომ დაგეკიდათ, თავის ნამდვილ ასაკს არ გაგიმხელდათ. უბედურ ვარსკვლავზეა დაბადებულიო, – ამბობდნენ სოფელში სევერიანზე...

მამამისი გასაბჭოების სათავეებთან მდგარა. მერე, ბოლშევიკებს ამაგი დაუფასებიათ და კოლმეურნეობის ბუღალტრად დაუნიშნავთ... მერე, ზაქათალაში გაუგზავნიათ, სევერიანიც სასწავლებლად იქაურ სკოლაში გადასულა... საშუალო რომ დაუმთავრებია, ქალაქში მოუწადინებია წასვლა, მაგრამ მამას არ გაუშვია, სოფელში მუშა-ხელი გვაკლიაო. სევერიანი ბედს შერიგებია... თანასოფლელი შეჰყვარებია სევერიანს, მაგრამ მშობლებს უარი უთქვამთ, რა დროს შენი ცოლიაო... მერე, რამდენიმე წელი რომ გასულა, დედის დაჟინებული მოთხოვნით, ბაკურციხელი ქალი შეურთავს. რამდენიმე თვე ყოფილან ერთად, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, დედამთილს „სანაქებო რძალი“ თვალში აღარ მოსვლია, მეზობლებთან ნამეტანი დიდხანს ჭორაობსო და ვაჟს შესჩენია, გინდა თუ არა, გასცილდიო. სევერიანს კი გაუპროტესტებია, მაგრამ უფიქრია, ცოლს კიდევ ვიშოვი, დედას – ვეღარ, ვიღაც ქალის გამო, დედაჩემს რატომ უნდა ვაწყენინოო და დაუნგრევია ოჯახი. რამდენიმე წლის შემდეგ, ხელმეორედ დაქორწინებულა სევერიანი. მეორე ცოლიც დედის რჩევით შეურთავს, მაგრამ დედამთილს მეორე რძალიც აუთვალწუნებია, ერთ ჭამაზე 7 ტოლმა შეჭამაო... მესამედაც დაქორწინებულა სევერიანი, მაგრამ წინა რძლების მსგავსად, მესამესთვისაც აღმოუჩენია დედამთილს წუნი და დაუფიცია სევერიანს, ჩემდათავად ცოლის მომყვანის დედა ვატირეო...

სევერიანის ცოლების ამბავი სოფელში ლეგენდასავით დადიოდა, ზოგი რაღაცას უმატებდა, ზოგი – აკლებდა... ეს ლეგენდა ლილიკოს უამრავჯერ ჰქონდა მოსმენილი და სევერიანს დაინახავდა თუ არა, უნებურად ეღიმებოდა. თავი ახლაც ვერ შეიკავა, თან მოხუცი რაღაცნაირად შეეცოდა, ფანჯარა გამოაღო და მოხუცთან მოლაზღანდარე ბავშვებს გასძახა, გაანებეთ თავი, ამ ხნის კაცს რა დღეში აგდებთო. მერე, სევერიანს გამოელაპარაკა:

– როგორ ხართ, ძია სევერიან?

– ლლ-იი-ლიკო, გგ-აიხარე, – ენის ბორძიკით მიუგო სევერიანმა.

– ყავაზე გვესტუმრეთ, ძია სევერიან, – შესთავაზა ლილიკომ.

– დდდ-ავლიე უკვე და ბბ-ევრი მმმ-ომივა, – კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა სამნაცოლარი მოხუცი, მაგრამ ჭიშკარში ელიკო გამოჩნდა და სევერიანმაც ფეხს აუჩქარა. ვიღაცამ ამბავი მიუტანა, სევერიანი ლილიკოს ძალიან აქებსო. ის დღე იყო და ის – ელიკოს სევერიანის დანახვა აღარ უნდოდა.

– რა ხეთაგანი ხალხია, ქა, თუ ჩემთვინ კარგი უნდათ, იმ ჩემს ძუძუებგასახმობ რძალს რაღა ფიანდაზად ეგებიან? განა, არ იციან, რომ ჩემი ოჯახი მაგ არგასაჩენმა დაღუპა? – კრიახობდა ელიკო და ყველას, ვინც კი ლილიკოზე ოდნავ თბილ სიტყვას იტყოდა, მტრად მიიჩნევდა. ისე, ვინმეს რომ ეკითხა, ამ კაფანდარა გოგომ ასეთი რა დაგიშავა, რომ თვალში ეკლად გესობაო, ელიკო არგუმენტირებულ პასუხს ვერ გასცემდა. ქალაქელი გამხდარი რძალი, უბრალოდ, არ მოსწონდა, მორჩა და გათავდა!

– დედა მოუკვდეს ჩემს ოთარის, მე დავუნგრიე ცხოვრებაო, – ამბობდა ხოლმე ელიკო, – სკოლა რომ დაამთავრა, ჩემმა მაზლმა მითხრა, მოსკოვში გამატანე, ვასწავლი, მუშაობას დავაწყებინებ და კაცად ვაქცევო, მაგრამ შემეშინდა, ყმაწვილი უჩემოდ ვერ გასძლებს-მეთქი. ახია ჩემზე, ახი. რატო ფეხი არ მომტყდა, თბილისში რომ წავიყვანე, ან ამ კატების ნათრევმაც რაღა მაინცდამაინც იმ სასწავლებელში ჩააბარა, სადაც ოთარიმ შეიტანა საბუთები?! – „კატების ნათრევი“ ყველაზე „სასიყვარულო“ ეპითეტი იყო, რომელსაც ელიკო რძლის მისამართით ხმარობდა. ათასჯერ უთხრა მხოლოდშობილმა ვაჟმა, ჩემს ცოლს ლილიკო ჰქვია და პატივი ეცი, თორემ შინიდან წავალ და ვეღარასოდეს მნახავო, მაგრამ ელიკო დარწმუნებული იყო, რომ ოთო, უბრალოდ, აშინებდა.

– ჩემი შვილის ხასიათს ვინმე მასწავლის? – ფიცხია, თორემ ალალგულაა, – თავს იმშვიდებდა ელიკო, – უჩემოდ ერთ საათსაც ვერ გასძლებს, ან მაგ „მაიმუნზე“ გამცვლის?!

რა იცოდა ელიკომ, რომ ეს „მაიმუნი“ და „კატების ნათრევი“ ლილიკო ოთოს საკუთარ თავზე მეტად უყვარდა?! ლილიკოსთვისაც მთავარი სწორედ ეს იყო და დედამთილის „სართულებიან“ წყევლა-ქოქოლას ყურადღებას არ აქცევდა.

– დედაჩემი ძველმოდური ქალია, თავისი ფილოსოფია და შეხედულებები აქვს. ყურადღებას ნუ მიაქცევ, ლილ, გთხოვ... ხომ გიყვარვარ?.. ჰოდა, მეც მიყვარხარ და გეძახოს დედაჩემმა „კატების ნათრევი“, – ღიმილით ეუბნებოდა ოთო სათაყვანებელ ქალს და მკერდს უკოცნიდა.

– მოგწონს „კატების ნათრევის“ მკერდი, ხო, ოთო? – კისკისებდა ლილიკო და ქმრის მკლავებში მოქცეული ბედნიერად კრუტუნებდა.

ერთხელ, მოალერსე წყვილს ელიკო თავზე წამოადგა. ახალგაზრდებმა უხერხულად გაღიმეს. ელიკო კი, სიწმრისგან გაწითლდა.

– ეგ არაქალი ჩემს ჩემს შვილს ბოზივით ლოკავდა, ქა. ამ ხნის ქალი ვარ და დღის შუქზე, ქმრის თანდასწრებით „ჩულქებიც“ კი არ გამიხდია, – ჩურჩულით ეუბნებოდა ელიკო ბენაანთ ანეტას.

– რას ამბობ, ქალო, გააჩერე ენა, ემანდ, არავინ გაიგოს, თორე შენ რძალს კაცების რიგი დაუდგება, – ცეცხლზე ნავთს ასხამდა ანეტა.

– ვიცი, ანეტ დეიდ, ვიცი, მაგრამ გულის ქარი ხომ უნდა ამოვიღო?!..

– გაიგე, ის მიწადასაყრელიც გაბოზებულა, – ტუჩების ცმაცუნით წარმოსთქვა ანეტამ.

– ვინა? – ყურები ცქვიტა ელიკომ.

– ვინა და, აი, ელგუჯაანთ ბიჭის ნაცოლარი... დაიცა, რა ჰქვია?..

– ვინა, ქა, მაკა? – შეიცხადა ელიკომ.

– ჰო, მაკა მაგასა და ჯანდაბა...

ელგუჯაანთ ბიჭის ნაცოლარი მაკა ლილიკოზე სამი-ოთხი წლით უფროსი იყო. გათხოვება აზრადაც არ ჰქონდა – სამედიცინოზე აპირებდა სწავლის გაგრძელებას, მაგრამ შეუჩნდა ელგუჯაანთ ბიჭი, მოსვენება დაუკარგა და, მეთერთმეტე კლასი დაამთავრა თუ არა, ხელი მოჰკიდა და შინ წაიყვანა. ქალიშვილის „მოტაცება“ მაკას მშობლებს მაინცდამაინც არ გაუპროტესტებიათ.

– კარგი ბიჭია, შეძლებული ოჯახი აქვს, თან ჩემს შვილსაც უყვარს, – თავს იმშვიდებდა მაკას დედა, ქალბატონი გულისა... მაკას, მართლაც, უყვარდა ელგუჯაანთ ბიჭი, თვალებში შესცინცინებდა და, ქმრის ხათრით, დედამთილ-მამამთილსაც თავზე ევლებოდა.

– ჰა, მაკო, ხომ მაჩუქებ პატარა ელგუჯას? – წარამარა ეკითხებოდა მამამთილი მაკას და გოგოც, თანხმობს ნიშნად, თავს უქნევდა, მაგრამ არ იქნა და არა, – მაკა არ დაორსულდა.

– უშვილო ეგ ქალბატონია, თორემ ჩემი შვილის „კაცობაში“ ეჭვის შეტანა როგორ შეიძლებაო?! – ირწმუნებოდა ელგუჯას ცოლი და შვილ-რძალი ექიმბაშიდან ექიმბაშთან, ექიმიდან ექიმთან დაჰყავდა... ამასობაში, ხმა დავარდა, ელგუჯაანთ ბიჭს საყვარელმა ტყუპი გაუჩინაო.

– ჭორია, გაიგე, ჭო-რი! – უმტკიცებდა ქმარი მაკას. გოგოსაც სჯეროდა, მაგრამ ქმარმა ჯერ დაგვიანება დაიწყო, მერე, ორი-სამი დღით სადღაც იკარგებოდა და... მაკა მიხვდა, რომ მისი ადგილი სხვამ დაიკავა... ერთხელაც, მაკას „პრინცი“ შინ ნასვამი მოვიდა, დედ-მამა და ცოლი „დიდ ოთახში“ იხმო და გამოაცხადა:

– იასთან გადავდივარ საცხოვრებლად!

– ია ვინაა? – ლამის ერთხმად იკითხეს მშობლებმა და მაკამ.

– ვინ უნდა იყოს?.. ვინაა და – ჩემი შვილების დედა!

მაკა ატირდა...

– მეხი კი დაგაყარე ამ გოგოს გაუბედურებისთვის, – მიაძახა შვილს და აქვითინებული მაკა გულზე მიიხუტა დედამთილმა.

– არც ამაღამ დარჩები? – მოულოდნელად ჰკითხა მაკამ ქმარს, უფრო სწორად, ყოფილ ქმარს.

– არა...

– ნუ გეშინია, შვილო, შენ მე და ელგუჯა გყავართ, – დაამშვიდა დედამთილმა რძალი...

სამი წელი ცხოვრობდა მაკა დედამთილ-მამამთილთან. სამი წელი ელოდა გაქცეულ ქმარს და, ბოლოს, როგორღაც მიხვდა, რომ თვითონაც უნდა წასულიყო. ბევრი ეხვეწა დედამთილი, ხალხი რას იტყვის, სოფელში თავს ნუ მომჭრიო, მაგრამ მაკამ გადაწყვეტილება აღარ შეცვალა...

– ისე ტიროდა და ისე შემეცოდა, ბოლოს წუთს წამოსვლა კინაღამ გადავიფქრე, – გამოუტყდა მაკა მეგობარს.

– გოგო, შენ ავად ხომ არ ხარ? ან ეს სამი წელი რას იჯექი მაგ ბებრებთან? – გაოცება ვერ დამალა მეგობარმა.

– ანი, ხომ იცი, სოფელს თავისი წესები აქვს...

– მოგცლია, რა?! ისე, თუ იცი, ამ სამი წლის განმავლობაში, მთელი სოფელი რომ ზურგს უკან დაგცინოდა? დასაცინი კი იყავი, ჩემმა მზემ, – ქმარი გაგექცა და შენ დედამთილ-მამამთიულს უვლიდი. შვილი რომ გყოლოდა, კიდევ ჰო, მაგრამ...

– დამცინოდა? – მაკამ მეგობარს სიტყვა გააწყვეტინა.

– ჰო...

– აი, ახლა მე ვიცინებ, – ორაზროვნად ჩაილაპარაკა მაკამ...

ელგუჯაანთ ბიჭს ყოფილი ცოლის გათხოვება არ გაჰკვირვებია. სამაგიეროდ, სამძიმარს მაკას ყოფილი დედამთილი იღებდა...

– მაკა მართლა ბოზია? – ჰკითხა ლილიკომ ოთოს.

– კარგი, რა, ლილიკო, შენც რა დედაჩემივით ლაპარაკობ, – გაიცინა ოთომ, – ხომ იცი, სოფელს თავისი კანონები აქვს.

– ჰო, ვიცი და ამიტომ გეკითხები, თან ამ კანონებით, მეც ბოზი ვარ.

– რატომ? – გაოცდა ოთო.

– სიგარეტს ვეწევი... გამხდარი ვარ... ჰო, კიდევ: შვილი რომ მეყოლება, არც მამაშენის სახელს დავარქმევ და არც – დედაშენის. გეწყინება? – გამომცდელად ჰკითხა ლილიკომ ქმარს.

– ჩემი საბრალო ლილიკო, რა დღეში გაქვს ნერვები, – ოთომ ცოლს ხელი გადახვია და შუბლზე აკოცა...

ლილიკოსა და ოთოს სოფელში დიდხანს არ უცხოვრიათ, ქალაქში წავიდნენ... პირველი ბიჭი შეეძინათ, ლუკა დაარქვეს... გოგონა რომ დაიბადა, ელიკო სამი თვის გარდაცვლილი იყო. ოთო ამბობდა, მარიამი დავარქვათო, მაგრამ ლილიკომ არ დაანება, ელა მშვენიერი სახელია, თან დედაშენსაც გაუხარდებოდა...

– ხო-მმმ ვვ-ამმ-ბობდი, ლლ-ილიკო კარრ-გი გგ-ოგოა-მეთქი, – სიხარულს ვერ მალავდა სევერიანი...

ფილტვის კიბოს ვაქცინას სცდიან

მკვლევარებმა ფილტვის არაწვრილუჯრედოვანი კიბოს მკურნალობისთვის ვაქცინის კლინიკური ცდები დაიწყეს. ექსპერიმენტები ჩატარდება დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, თურქეთში, უნგრეთში ესპანეთში, გერმანიასა და პოლონეთში. ვაქცინამ უნდა მოაზადოს იმუნური სისტემა კიბოს უჯრედების ამოცნობასა და მათზე შეტევისთვის. ამავდროულად, მას მინიმუმამდე დაჰყავს ჯანმრთელი უჯრედების დაზიანების რისკი. რამდენიმე კვირის განმავლობაში, პაციენტებს მრავალრიცხოვან აცრას გაუკეთებენ. თითოეული მათგანი რნმ-ს უნიკალურ თანმიმდევრობას შეიცავს. კვლევებში ფილტვის კიბოს სხვადასხვა სტადიის მქონე პაციენტებს ჩართავენ. ისინი ვაქცინას იმუნოთერაპიასთან ერთად მიიღებენ, რათა მკურნალობის პოტენციური ეფექტი უფრო მაღალი იყოს.

„ჭკვიანი“ სათვალე სუსტი მხედველებისთვის

ბრიტანელმა სწავლულებმა „ჭკვიანი“ სათვალე შექმნეს სუსტი მხედველობის მქონე ადამიანებისთვის. მოწყობილობა საშუალებას იძლევა, მათ ნახონ სპორტული მატჩები, ასევე, პირდაპირი ტრანსლაციები კარგი ხარისხით. სათვალის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ მხედველობის დარღვევების მქონე ადამიანებს შეუძლიათ არეგულირონ ის გამოსახულება, რასაც ხედავენ, საკუთარი მოთხოვნილების შესაბამისად. მაგალითად, ახლოს მოიტანონ, ან შორს წაიღონ გამოსახულება. გარდა ამისა, სათვალით თავად ობიექტები გაცილებით ნათლად და მკვეთრად აღიქმება. ამ მაღალტექნოლოგიურ ნოუ-ჰაუს უკვე იყენებენ გულშემატკივრები პარიზის პარალიმპიურ თამაშებზე – ამ ღონისძიებაზე ის პირველად წარადგინეს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, დღეისთვის მსოფლიოში 2 მილიარდზე მეტი ადამიანია, რომლებსაც, ამა თუ იმ ფორმით, მხედველობის დარღვევა აღენიშნებათ.

მუზეუმი ნუდისტებს მასპინძლობს

საფრანგეთში, მარსელში მდებარე ევროპისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის ცივილიზაციის მუზეუმი ექსკურსიებს სთავაზობს ნუდისტებს. მნახველებს ნება ეძლევათ, სრულიად შიშვლებმა დაათვალიერონ ექსპოზიციები. მხოლოდ ფეხსაცმლის დატოვებას ურჩევენ, რათა თავიდან აიცილონ დაზიანებები, ვინაიდან შენობაში პარკეტის იატაკია. სპეციალური ექსკურსიები თვეში ერთხელ, საღამოობით შედგება. ამ პერიოდში, მუზეუმი ჩვეულებრივი დამთვალიერებლისთვის დაკეტილი იქნება. გამოფენაზე წარდგენილია ხელოვნების 600 ნიმუში, მათ შორის, ფოტოები, ფილმები, ჟურნალები, ნახატები და ქანდაკებები. თითოეული მათგანი ნატურიზმით არის შთაგონებული.

დალის ნამუშევრები ავტოფარეხში იპოვა

ნისლიანი ალბიონის დედაქალაქის მცხოვრებმა საკუთარ ავტოფარეხში ესპანელი მხატვრის, სალვადორ დალის გრავიურები აღმოაჩინა. ისინი იქ, დაახლოებით, 50 წელიწადი ინახებოდა. გრავიურებზე გამოსახულია მითოლოგიური და ალეგორიული სცენები. სახელოვანი მხატვრის ეს ნამუშევრები ლონდონის ერთ-ერთი გალერეის გამოფენა-გაყიდვაზეა შეძენილი 1970 წელს და მასში 600 დოლარია გადახდილი. სავარაუდოდ, მფლობელმა გრავიურებით სახლის გალამაზება გადაიფიქრა და ისინი ავტოფარეხში შეინახა. ექსპერტებმა აღმოჩენილ ნამუშევრებს გასაოცარი და სიურეალისტური უწოდეს. უახლოეს მომავალში, გრავიურები აუქციონზე გაიყიდება და ვარაუდობენ, რომ მათი ღირებულება 50 ათას დოლარს მიაღწევს.

ილონ მასკის ბიუსტს დადგამენ

ტეხასში მდებარე Starbase-ის კოსმოდრომზე, ილონ მასკის სამმეტრიან ბიუსტს დადგამენ. ბიუსტი შთაგონებულია ცნობილი მრუდე პორტრეტით, რომელიც 2019 წელს, ვირუსულად გავრცელდა. გამოცემა San Antonio Express-News-ის ცნობით, ბიუსტის შემკვეთი ფრანგი ბიზნესმენია, სახელად ლუი. ადრე მანვე დადგა სამი სართულის სიმაღლის მქონე ფრესკა მასკის გამოსახულებით, Starbase-ისკენ მიმავალ გზაზე. ამჯერად, ლუი ხორცს ასხამს ახალ პროექტს, სახელწოდებით ElonDay – „ხელოვნების, ტექნოლოგიებისა და მემების“ დღესასწაული ბრაუნსვილში გაიმართება. ღონისძიება ჩაფიქრებულია, როგორც სივრცე შემეცნებითი საუბრებისათვის, როგორც მასკის თაყვანისმცემლების, ასევე, მისი კრიტიკოსებისთვის.

იაპონელები მარტოობაში კვდებიან

იაპონური პოლიციის ანგარიშის მიხედვით, წელს, ქვეყანაში, დაახლოებით, 40 ათასი ადამიანის მარტოობაში გარდაცვალების ფაქტი დაფიქსირდა. როგორც BBC იუწყება, დაახლოებით, 4 ათასი ადამიანის გვამი მათი გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ, სუნით აღმოაჩინეს, 130 მიცვალებული კი სიკვდილიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ნახეს. მარტოობაში აღსრულებულთა უმეტესობა (70%) 65 წელს ზემოთ იყო. ადამიანების მარტოობისა და იზოლაციის პრობლემა ამომავალი მზის ქვეყანაში სულ უფრო სერიოზულ სახეს იღებს. ზოგადად, იაპონელები ჩაკეტილი ხალხია, არა მხოლოდ უცხოელების, არამედ, საკუთარი სოციუმის შიგნითაც. იქ არ არის მიღებული, შეკითხვებით თუ საუბრებით ერთმანეთის „სულში ჩაძვრომა“. ქვეყნის მოსახლეობის კვლევისა და უზრუნველყოფის ეროვნული ინსტიტუტის პროგნოზებით, 2050 წლისთვის, დაახლოებით, 10.8 მილიონი იაპონელი მოხუცი მარტოხელა იქნება. ვარაუდობენ, რომ იმ დროისთვის, მარტოხელა ადამიანების რიცხვი ქვეყანაში 23.3 მილიონს მიაღწევს. ამასთან დაკავშირებით, გაზაფხულზე, იაპონიის მთავრობამ კანონპროექტი წარადგინა, რომელიც მოსახლეობის მარტოობისა და იზოლაციის პრობლემის მოგვარებისკენ არის მიმართული.

შოკოლადს ახალი მეთოდით ამზადებენ

შვეიცარიელმა სწავლულებმა ყველასათვის სასურველი ტკბილეულის წარმოების ახალი მეთოდი მოიფიქრეს. ახლა შოკოლადის დასამზადებლად კაკაოს მთლიან ნაყოფს იყენებენ და არა მხოლოდ მის მარცვლებს. ასეთი მეთოდი შაქრის დამატებას არ საჭიროებს. შაქრის როლს, ამ შემთხვევაში, კაკაოს წვენი ასრულებს, რომლისგანაც სიროფს ამზადებენ. ახალმა მეთოდმა უკვე მიიპყრო იმ კომპანიების ყურადღება, რომლებიც ეკოლოგიურად სუფთა საკვების წარმოებით არიან დაკავებულნი. მათი თქმით, შოკოლადის ტრადიციული წესით დამზადებისას, მარცვლებგამოცლილი კაკაოს ნაყოფი მინდვრებში რჩება და უბრალოდ ლპება. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ წარმოებაში კაკაოს მთლიანი ნაყოფის გამოყენება ამ ინდუსტრიაში ბევრ პრობლემას გადაჭრის – შოკოლადზე მზარდი ფასებიდან, ამ სფეროში მომუშავე ფერმერების სიღარიბემდე.

პამპერსები – სამშენებლო მასალად

იაპონელმა სწავლულებმა, კიტაკიუსიუს უნივერსიტეტიდან, ბეტონის მოსამზადებელ ნარევში, ქვიშის ნაცვლად, უხრწნადი გამოყენებული საფენები გამოიყენეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მიღებული მასალით სახლების სტანდარტული ფუნდამენტების მშენებლობა შესაძლებელია. ბეტონში დამატებული პამპერსები მის წარმოებას უფრო იაფს ხდის და ეკოლოგიურიც არის. გარდა ამისა, გადაიჭრება ნარჩენების პრობლემაც. სპეციალისტებმა ნარევი საფენების სხვადასხვა პროპორციით შექმნეს და ის სიმტკიცეზე შეამოწმეს. აღმოჩნდა, რომ საყრდენი ბოძების მშენებლობისთვის, სამსართულიან სახლში, პამპერსებით 10% ქვიშის ჩანაცვლებაა შესაძლებელი. ერთსართულიანისთვის კი ეს მაჩვენებელი 27%-მდე იზრდება. გადატიხვრების დასამზადებლად ქვიშის 40%-ს ჩაანაცვლებს საფენები, იატაკის დაბეტონებისა და ბაღის მოსაპირკეთებლად კი – მხოლოდ 9%-ს.

ცხვირის სპრეი აბების ნაცვლად



ცნობილია, რომ აბები ცუდად აწვდიან სამკურნალო აგენტებს ტვინს და დღეს ეს დიდი პრობლემაა, რადგან ავადმყოფს მუჭებით უწევს წამლის ყლაპვა, რათა საერთო კონცენტრაციის გაზრდის ხარჯზე, სასურველ ეფექტს მიაღწიოს. თუმცა, როგორც ჩანს, სწავლულბმა შეძლეს ამ პრობლემის მოგვარება. ისინი სამკურნალოდ ცხვირის სპრეის გამოყენებას გვთავაზობენ. დანიელი მკვლევარები, ოლბორგის უნივერსიტეტიდან, ვარაუდობენ, რომ ცხვირის ღრუს კედლისა და ლორწოს მეშვეობით პრეპარატს ტვინთან უფრო სწრაფად და ეფექტურად მივიტანთ. პრინციპი ისეთივეა, როგორც ნარკოტიკების მოხმარებისას. მაგალითად, „კოკაინის“ შესუნთქვა ნარკომანს საშუალებას აძლევს, ეს ნივთიერება, პრაქტიკულად, მომენტალურად შეიწოვოს. თუმცა, საქმე ის არის, რომ ბევრი სამედიცინო სუბსტანცია ძნელად გაივლის ცხვირის ღრუს კედელს და რთულად აღწევს მედიკოსებისთვის საინტერესო ტვინის ზონაში. ჩვეულებრივ, როცა წამალი ცხვირის საშუალებით შედის, „ტრანსპორტის“ რანგში პოლიმერები გამოიყენება. პოლიმერები არიან ბუნებრივი და სინთეტიკური, მარტივი ან რთული. ისინი შესანიშნავად მუშაობენ „გადამზიდავების“ როლში. თუ პოლიმერებს დავამატებთ სპრეიში, პრეპარატის ტვინისთვის მიწოდების პრობლემა, ალბათ, აღარასოდეს დადგება.

ფაფები ბავშვებისთვის მავნეა?

პატარა ბავშვებისთვის ფაფები ყველაზე სასარგებლო კერძად მიიჩნევა, ის პატარების რაციონში დიდხანს ძირითადი საჭმელიც არის. თუმცა, ამერიკელი სწავლულები ეჭვქვეშ აყენებენ ამ საკვების სარგებლიანობას. პირველ როგში, ეს შაქრის იმ რაოდენობასთან არის დაკავშირებული, რომელიც თვითონ ფაფებშია. სტატისტიკის თანახმად, შეერთებულ შტატებში, ბავშვი წლის განმავლობაში, საშუალოდ, 4.5 კილოგრამ შაქარს იღებს, თუკი ის რეგულარულად მიირთმევს ფაფებს. ასეთი რაოდენობა კი საშიშია არა მხოლოდ ბავშვებისთვის, არამედ, მოზრდილებისთვისაც. ორგანიზმში შაქრის დოზის გადაჭარბება ბევრი დაავადების განვითარებას უწყობს ხელს – ჭარბ წონას, შაქრიან დიაბეტს და სხვა. აღსანიშნავია, რომ მზა ფაფების უმრავლესობის შემადგენლობაში, საშუალოდ, 29%-ია შაქარი. თუ არ არის, კერძის მომზადებისას, მას მშობლები ამატებენ. საბოლოოდ კი, შესაძლოა, სავალალო შედეგიც მივიღოთ. სწავლულები ურჩევენ მშობლებს, ნაკლებად დაატკბონ ფაფეული, ხოლო თუ მას მზა სახით ყიდულობენ, სჯობს, წინასწარ დარწმუნდნენ იმაში, რომ საკვები დასაშვებზე მეტი რაოდენობით შაქარს არ შეიცავს.

დასასვენებლად – მოხუცთა თავშესაფარში

38 წლის ჩინელმა ქალბატონმა იანგმა, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს და გამოფიტვის დიაგნოზი დაუსვეს, ერთი თვის მანძილზე, კლინიკაში მკურნალობდა. გამოწერის შემდეგ, მან გადაწყვიტა, ცხოვრება შეეცვალა და მოხუცთა თავშესაფარში გადავიდა საცხოვრებლად. აქ მას შეეძლო დასვენება, საბოლოოდ, გამოჯანმრთელება და ცხოვრების ნელი ტემპით ტკბობა. „ქალაქში ოდნავი ხმაურისგანაც კი მეღვიძებოდა და თავს არაკომფორტულად ვგრძნობდი“, – ამბობდა იანგი. თავშესაფარში, ოთახის ქირაში ის ყოველთვიურად 370 დოლარს იხდიდა. ამ თანხაში შედიოდა კვება და სამედიცინო დახმარებაც. მთავარი ის არის, რომ თავშესაფარი თვალწარმტაც ადგილას, ბუნებაში მდებარეობს. არის ხეხილის ბაღი, ჰყავთ ფარშევანგი და ირმები. მოხუცთა სახლში იანგმა სამი თვე გაატარა და ირწმუნება, რომ იქ არა მხოლოდ ფიზიკურად, სულიერედაც დაისვენა.

ზურგის ტკივილის ეპიდემია გველის

ექსპერტებმა ამერიკიდან და ავსტრალიიდან დაასკვნეს, რომ 2050 წლისთვის, ჩვენს პლანეტაზე, დაახლოებით, 800 მილიონ ადამიანს შეაწუხებს ზურგის ტკივილი. მათი კვლევის შედეგები ჟურნალში The Lancet Rheumatology გამოქვეყნდა. კვლევის ავტორებმა, მსოფლიოს 204 ქვეყნის წარმომადგენელთა 1990-2020 წლებში არსებული მონაცემები გააანალიზეს და შედეგად, ზურგის ან წელის ტკივილის ჩივილების მქონე პაციენტების დინამიური რუკა შეადგინეს. სწავლულბმა დაადგინეს, რომ 2017 წლიდან, შემთხვევების რაოდენობამ ნახევარ მილლიარდს გადააჭარბა. 2020 წელს, ზურგის ტკივილებით უკვე 610 მილიონი ადამიანი იტანჯებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველაზე ხშირად, ეს დაავადება სუსტი სქესის წარმომადგენლებს აღენიშნებათ. მიღებული მონაცემების საფუძველზე, გაკეთდა პროგნოზირების მოდელი, რომლის მიხედვითაც, 2050 წლისთვის, ასეთი ჩივილების მქონე ადამიანთა რაოდენობა, თითქმის 50%-ით გაიზრდება. ყველაზე მეტი შემთხვევა კი აზიასა და აფრიკაში დაფიქსირდება. ზურგის ტკივილით 843 მილიონი ადამიანი დაზარალდება, ძირითადად, მოსახლეობის რაოდენობის მატებისა და დაბერების გამო.

ლუდზე მომუშავე მოტოციკლი შექმნა

შეერთებული შტატების მცხოვრებმა მამაკაცმა მოტოციკლი შექმნა, რომელიც ქარვისფერ სითხეზე მუშაობს. ამ გამოგონების ავტორი კაი მაიკლსონია. მის „ქმნილებებშია“ ასევე ტუალეტი რაკეტის ძრავით. მაიკლსონის თქმით, ბენზინის ძრავის ნაცვლად, მის მოტოციკლში სპეციალური ავზია, რომელშიც ლუდი 300 გრადუსამდე ცხელდება. ქაფიანი სითხე გადაცხელებულ ორთქლად გადაიქცევა, რომელიც გამოდის და ტრანსპორტს წინ უბიძგებს. ლუდის მოტოციკლს, დაახლოებით, 250 კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეუძლია. უახლოეს პერიოდში, მაიკლსონი თავის გამოგონებას შეჯიბრზე გაიყვანს, რათა მოტოციკლის შესაძლებლობები წარადგინოს.

ქალებს ჰაერის დაბინძურება ასუქებთ

ჰაერის დაბინძურება გავლენას ახდენს ქალების წონაზე, სხეულის მასის ინდექსზე, წელის გარშემოწერილობასა და ცხიმდაგროვებებზე. სუსტი სქესის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც გამუდმებით სუნთქავენ მცირე ნაწილაკებით, აზოტის დიოქსიდითა და ოზონით, ორგანიზმში ცხიმის შემცველობა – მაღალი, ხოლო კუნთოვანი მასა დაბალი აქვთ. ასეთი დასკვნები ამერიკელმა სწავლულებმა გააკეთეს მიჩიგანის უნივერსიტეტიდან. მათ სხვადასხვა რასის წარმომადგენელი 1.7 ათასი ქალის მონაცემები გააანალიზეს, რომელთაც რვა წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ. დაბინძურებული ჰაერის გამო, ქალების სხეულში 5%-ით მეტი ცხიმი დაგროვდა. მავნე ატმოსფერული ნაწილაკების გავლენის კომპენსირება ფიზიკური აქტივობით არის შესაძლებელი, – აცხადებენ მკვლევარები.

ძმარი – სუპერპროდუქტი

აშშ-ის კვების ტექნოლოგიების ინსტიტუტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ძმრის გარკვეულ სახობებს შეუძლია, ზოგიერთი სამკურნალო პრეპარატის ჩანაცვლება. ძმარი გაჯერებულია ანტიოქსიდანტებით, რომელიც პასუხისმგებელია დაბერების პროცესის შეფერხებაზე. გარდა ამისა, ის ანელებს სიმსივნისა და ტვინის დეგენერაციული დაავადებების განვითარებას – ალცჰაიმერის, პიკისა და პარკინსონის დაავადებებს. ამასთან, ძმარს ანთების საწინააღმდეგო თვისებებიც აქვს და ამცირებს დიაბეტის ორგანიზმზე გავლენის ხარისხს. ის აუმჯობესებს გულსისხლარღვთა სისტემას და აქვეითებს წნევას. აღსანიშნავია, რომ თუ ძმარი ადამიანის კვების ყოველდღიურ რაციონში შედის, დროთა განმავლობაში, ქვეითდება მადა, რაც განსაკუთრებით აქტუალურია გახდომის მსურველთათვის. ვაშლის ძმარი კარგი დამხმარეა ართრიტისა და პოდაგრას მკურნალობისას, აქვეითებს სისხლში შაქრის დონეს, აჩქარებს ცხიმების გადამუშავებას.

პენსიონერი საკუთარ თავს მისთხოვდა

77 წლის ამერიკელი პენსიონერი, ოჰაიოდან, საკუთარ თავზე გათხოვდა და საოცნებო საქორწილო კაბაც მოირგო. დოტი ფიდელის თქმით, ის მთელი ცხოვრება ოცნებობდა ლამაზ ქორწილზე, თუმცა დაიღალა საქმროს მოლოდინში და გადაწყვიტა, საზეიმო ცერემონია მის გარეშე გაემართა. ქორწილის ორგანიზებაში ქალს მოხუცთა თავშესაფარი დაეხმარა, სადაც დოტი ცხოვრობს. პენიონერის თქმით, ის დანიშნულიც იყო 1965 წელს, მაგრამ სამწუხაროდ, მაშინ ქორწილი არ შედგა. ფიდელის ქალიშვილის თქმით, თავადაც ძალიან მონდომებული იყო, რომ დედის ოცნება აესრულებინა. ცერემონიაზე დოტის მეგობრებიც იყვნენ მიწვეულნი. როგორც ნებისმიერი პატარძალი, დოტიც ნერვიულობდა ამ მნიშნელოვანი დღის წინ, თუმცა ყველაფერმა მშვენივრად ჩაიარა. პენსიონერმა შეკრებილებს მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ მისი ოცნება ასრულდა.

შენობებს ქაფით გააგრილებენ



გერმანელმა და ჩინელმა სწავლულებმა, ხის ცეცულოზის ნანოკრისტალებისგან სპეციალური ქაფი შექმნეს, რომელიც შენობებს გააგრილებს. სპეციალისტების თქმით, ამ ტექნოლოგიის გამოყენებით, ცხელი კლიმატის რეგიონებში, მოსახლეობა დიდ თანხას დაზოგავს საცხოვრებელი სახლების გასაგრილებლად. სახლის სახურავსა და გარე კედლებზე სპეციალური ქაფის დატანით, შენობების კონდიციონერებით გაგრილებისთვის საჭირო ელექტროენერგია 35.4%-ით შემცირდება. სწავლულების მიერ შექმნილი ქაფი ხილული სინათლის 96%-ს ირეკლავს და თან სითბოს 92%-ით ირიდებს. ახალი მასალა თეთრი ფერისაა, მსუბუქია და კარგად ინარჩუნებს სიგრილეს. მისი ეს თვისებები მეცნიერებმა ექსპერიმენტებით დაადასტურეს: ქაფი ალუმინის ფოლგით დაფარულ ყუთში მოათავსეს და ცხელ ამინდში, მზის გულზე დადგეს. ქაფის წყალობით, ყუთში ტემპერატურა 9 გრადუსით უფრო დაბალი იყო, ვიდრე მის გარშემო. ექსპერტების თქმით, ქაფის გამოყენება შესაძლებელია ქალაქების გადახურების წინააღმდეგ.

ოთახის ყვავილები კიბოს წინააღდეგ

შენობებში მცენარეები ეფექტურად აქრობენ ჰაერში ბენზინის ტოქსიკურ ორთქლს, რომელიც სიმსივნის გამომწვევია, – ასეთ დასკვნებამდე მივიდნენ ავსტრალიელი სწავლულები, ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად. ოთახის ყვავილები რამდენიმე საათში აქრობენ ჰაერში არა მხოლოდ ყველაზე უფრო მავნე დამაბინძურებლებს, არამედ, კანცეროგენულ ბენზოლსაც. ის უფრო მალე ქრება, ვიდრე სხვა მავნე ნივთიერებები. ასევე, აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მეტი ტოქსინია ჰაერში, მით უფრო სწრაფად და ეფექტურად მოქმედებენ მცენარეები, – აცხადებს კვლევების წამყვანი მეცნიერი. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ოთახის რამდენიმე მცენარისგან შემდგარმა მწვანე კედელმა ჰაერიდან ყველაზე ტოქსიკური ნივთიერებების 97% რვა საათში გააქრო. დაბინძურებული ჰაერი შენობებში მოქმედებს ადამიანის, როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ბენზოლის შესუნთქვა, რომელიც ოთახში გარედან ხვდება, იწვევს თავის ტკივილს, ფილტვების გაღიზიანებას, ღებინების შეგრძნებას, ასთმასა და ონკოლოგიურ დაავადებებს.

იოგა ალპაკებთან ერთად

რაღას არ იგონებენ ადამიანები, რომ რაც შეიძლება, მეტი ემოცია მიიღონ. ამის ერთ-ერთი წყარო ცხოველებთან ურთიერთობაა. იოგას ვარჯიში კატების, ძაღლების, თხებისა და ლემურების გარემოცვაშიც კი, დღეს აღარავის აოცებს. თუმცა, გერმანიაში ეს მაინც შეძლეს – იქ იოგას გაკვეთილები სამხრეთამერიკული ალპაკების გარემოცვაში ტარდება. ამბობენ, ეფექტი განსაკუთრებით კარგიაო. მეცადინეობები ქვეყნის დასავლეთით მდებარე ქალაქ ვილიჰში ტარდება. ვარჯიშისთვის ადგილი ვეკერების ოჯახმა გამოჰყო, რომელიც უკვე ოთხი წელია, ალპაკების მოშენებით არის დაკავებული. ჯერჯერობით, მათ ფერმაში 20 ცხოველია. იოგას გაკვეთილები მხოლოდ თბილ ამინდში ტარდება.

განგრენის საწინააღმდეგო წამალი შექმნეს

სპეციალისტებმა ისრაელის კომპანია Atox Bio-დან, რომელიც მძიმე ინფექციების საწინააღმდეგო პრეპარატებს აწარმოებს, 23 მილიონი დოლარი მიიღო ახალი წამლის AB103 გამოსაცდელად. ეს პრეპარატი რბილი ქსოვილების ნეკროტულ ინფექციებს უნდა შეებრძოლოს. მასშტაბური კლინიკური გამოცდები მომავალი წლიდან დაიწყება. წამალი იმუნომოდულატორია და პეპტიდებისგან შედგება, რომლებიც განსაკუთრებულად მოქმედებენ. პრეპარატი ცვლის ადამიანის იმუნიტეტს ისე, რომ არ აფერხებს მის აქტიურობას. თუ წამალი ცდების შედეგად დამტკიცდება, ის ათასობით ადამიანს მისცემს შანსს, სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეინარჩუნოს. რბილი ქსოვილების ნეკროტულ ინფექციებს სხვადასხვა მიკროორგანიზმები იწვევენ. მისი დიაგნოსტირება რთულია: გარეგნულად ის მხოლოდ პატარა წყლულის სახით ჩნდება. ინფექციის ძირითადი ფორმები ბაქტერიული, სტრეპტოკოკური განგრენა ან ნეკროტული ფასტიციიტია.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.